645
1972
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1972 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რუსთაველის გამზირი

ფოტო დ. იაკობაშვილისა

45
72
8
ეროვნული ბიბლიოთეკა




# დიდება ოქტომბერს!

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე ცხოვრობს ამბროლაური...

აქ ცა უძიროა, თეთრჩადრიან მწვერვალებს დაბჯენილი; მზე ბდღვრიალაა, თბილი და ნაზი; სივრცე გამჭვირვალეა და სურნელნაზავი; ტყე უსიერია და ფერადოვანი; წყალი ნაირგვარია სახითა და ზნითა; მთანი მაღალია, პიტალო კლდენითა და გადმოსახედითა, ველნი უხვია და მომცრო, მთა-გორაკებით სამანდასმული აქაურობა ბუნების ერთი მადლიანი შედევრია. მისი ბატონ-პატრონი, მხნელ-მთისველი, მეზვრე და ახოსგამკაფავი რაჭველი კაცია, მშვიდობიანი და დარბაისელი, პატიოსანი და ალალ-მართალი.

რაჭა ორია — ზემო და ქვემო. ჩვენ ქვემო რაჭაში, ამბროლაურში ვიმყოფებით. რაიონის მიღწევებს, მის ზრდა-განვითარებას უპირველესად რაიონის ცენტრი დაიტყობს ხოლმე. ასეა აქაც, გაზრდილა და დამშვენებულა ამბროლაური, შემატებია ახალი ოჯახები, სახლები, ქუჩები, საწარმო-დაწესებულებები: აგურის ქარხანა, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი — სახერხი, საამშენებლო ბლოკის დამამზადებელი ქარხანა, მოზაიკური სახელოსნო, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო; ამბროლაურელებს წელს პატარებისათვის კიდევ ერთი ბაგა-ბაღი აუშენებიათ; სატყეო მეურნეობის მუშაკთათვის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი აუგიათ. ავტოსატრანსპორტო საწარმო დაუმთავრებიათ, მანქანების სადგომითა და სარემონტო საამქროებით, ხოლო შარშან დიდმნიშვნელოვანი ობიექტი, რაჭის საკონსერვო ქარხანა ჩაუყენებიათ მწყობრში. კომბინატი ახალგაზრდა კოლექტივითა და კარგი შრომითი მაჩვენებლებით ამაყობს. მისი საპროექტო წლიური სიმძლავრე 4 მილიონი პირობითი ქილაა. შარშან ნავარაუდევს მილიონ ასი ათასი პირობითი ქილით გადააჭარბა, წელს კი პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე შესრულა და 16 ათასი მანეთის მოგება მიიღო. ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქცია წუნდაუდებელია, რაც უახლესმა ტექნოლოგიამ და ახალგაზრდული კოლექტივის თავდადებულმა შრომამ განაპირობა. კომბინატში ყველა შრომატევადი პროცესი მექანიზებულია. კარგად ფლობენ საქმეს ლაბორატორიის უფროსი რუსუდან ფანჯავიძე, ცვლის უფროსები: თამარ გოგიბერიშვილი, ვენერა კერვალიშვილი, კლავდია ბარსონიძე, ვერა სამარგულიანი, ია გოგლიძე და სხვები. კომბინატის მთელი კოლექტივი მოწინავის სახელისათვის იბრძვის. ეს ბუნებრივიცაა. კოლექტივში, მგონი, ერთიც არა ჰყავთ საშუალო და სპეციალური საშუალო განათლების გარეშე — უმრავლესობა ტექნიკური ცოდნით შეიარაღებული და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კურსდამთავრებულია.

სუსხიანი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი წლები, მაგრამ სწორედ მაშინ ეყრებოდა საფუძველი დღევანდელსა და დღევანდელობას. შეუპოვარი შრომა და შემართება ავიწყებდა ხალხს ხელმოკლეობასა და უსახსრობას. მომავლის ნათელით რაჭველებიც იშუქებდნენ გზას. მაშინ, 1924 წელს, სერგო ორჯონიკიძე სწვევია რაჭას და მისი ნებით ჩაყრია საძირკველი ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს. იმ დღიდან, ტექნიკუმი უზრდის სოფლის მეურნეობის კადრებს ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის, ტყიბულისა და ჯავის რაიონებს. მიმდინარე ხუთწლედში ტექნიკუმს აუშენდება კომპლექსი, ექნება ინტერნატი, კლუბი, სასადილო, კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, საცდელი ნაკვეთი და საკუთარი მეურნეობა. მას შეემატება ახალი ფაკულტეტები: საბუღალტრო, ეკონომიური, მექანიზაციის, მებაღე-მებოსტნეობის, რის შედეგადაც მეტად დაეტყობა აქაურ ზვრებს, ბაღჩა-ბაღებს და საკოლმეურნეო ფერმებს სწავლულ მეურნეთა ხელი. ახლა კი, როცა რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებზე ლაპარაკობენ, მოწინავეთა შორის ბუგეულის კოლმეურნეობას ასახელებენ.



საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. გოგიბერიშვილი



ლამაზია რიონის პირას, ფერდობზე შეფენილი სოფელი ბუგეული.

საავტომობილო გზატკეცილის ტოტი ერთბაშად ფერდობისაკენ ეშვება და მდინარე რიონზე რკინა-ბეტონის მძლავრ ხიდს გადასერავს. ხიდის მეორე ნაპირზე ბუგეულია, კოპწია სახლებით, მიკიბულ-მოკიბული შუკებითა და ფართო შარაგზებით. ამ შარაგზებზე ახლა კომფორტაბელური ავტობუსები დაჰქრის. შეძლებულია ბუგეულის კოლმეურნეობა სოფლის მუყაითი და გამრჯე ადამიანებით, მაგრამ რჩეულთა შორის,

უპირველესად, სამი შვილის დედას, შურა ფოფხაძეს იხსენიებენ. სხვანაირი ელფერი დაჰკრავს მის მოვლილ ვენახს ხიდისყურისგაზოსგვერდისა და ხაჭაპურიძის გვერდაზე. იგი წლიურად 1670 კგ ყურძენს აბარებს სახელმწიფოს და მხარს უსწორებს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სოფელ საქაცეს მკვიდრს, ეკატერინე გოგიბერიძეს. ამიტომაც, პატივი დადეს და შურა რაიონის მშრომელებმა თავის დეპუტატად აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში. შურა მარტო კარგი მევენახე როდია, იგი ყოველწლიურად 40 კილოგრამ აბრეშუმის პარკს აბარებს სახელმწიფოს და პირველობას იქაც არავის უთმობს.

ბუგეულში მეურნეთა ღონიერი ხელი ატყვია სასოფლო კლუბს, ბიბლიოთეკას, 10-ადგილიან საავადმყოფოს, აფთიაქს, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიებს, მესაქონლეობის ფერმას, ელექტროწისქვილს და სხვა, მაგრამ უმთავრესი, რაც ამ სოფელში თვალს მოგტაცებთ, რიონის პირას თეთრი გედივით დაფრენილი სკოლის შენობაა. სკოლას წელს ჩამოხსნეს ხარაჩოები. იგი ერთ-ერთი საჩვენებელი სკოლა იქნება რაიონში, კარგად მოწყობილი კაბინეტებით, სახელოსნოებით, სპორტული დარბაზით, მოედნებითა და ცენტრალური გათბობით.

მთელ რაიონში ცნობილია ამ სკოლის ღვაწლმოსილი დირექტორი ქეთევან გიორგობიანი. იგი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელია, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი გამოცდილებით. ქეთევან გიორგობიანი რაიონის მშრომელებს ხან აგიტკოლექტივის ხელმძღვანელად ახსოვთ, ხან ტერიტორიული პარტიული კომიტეტის მდივნად, ხან სასოფლო საბჭოს დეპუტატად, 1971 წლიდან კი ქეთევანი, როგორც ამბროლაურის რაიონული საბჭოს დეპუტატი, კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიას ხელმძღვანელობს. მთელ რაიონს სწვდება მისი თვალი.

მდინარე ლუხუნის პირას სოფელ ურავში რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატია, დიდმნიშვნელოვანი და უნიკალური. მისი წლიური პროდუქცია 3 მილიონ მანეთს უდრის. კომბინატი უშვებს მასალებს ნახევარგამტარებისათვის და პრეპარატებს ცხოველთა დაავადებისა და სოფლის მეურნეობის მავნებელთა საწინააღმდეგოდ. ამ ხუთწლედში მოხდება მისი რეკონსტრუქცია, რაზეც 18 მილიონი მანეთი დაიხარჯება. გაიზრდება თვით დაბა ურავი. აიგება 100-ადგილიანი საავადმყოფო, სკოლა, საცხოვრებელი სახლები მუშა-მოსამსახურეთათვის. აშენდება საბავშვო ბაგა-ბაღი, დაიდგმება სატელევიზიო ანძა და გაიყვანება საჰაერო ხაზი. კურორტად იქცევა რაიონის მრეწველობის ცენტრი — დაბა ურავი, რომელიც მდიდარია უწერის ტიპის სამკურნალო წყლებით; 100 ათასი მანეთი დაჯდება სოფელ წესსა და ურავში გამავალი 15 კილომეტრიანი გზა. და განა მარტო აქ, ყველგან, მთელ რაიონში შეკეთდება ძველი და გაიყვანება ახალი გზები და შარაგზები.



ბუგეულის საშუალო სკოლის დირექტორი ქ. გიორგობიანი მოსწავლეებთან



ბუგეულის საშუალო სკოლა



გეოლოგები: შ. გავაშელი და მ. გალდავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინის ორდენოსანი მასწავლებელი ნ. მიქიაშვილი

უცხოელი მეურნის შრომა დააფასა, [illegible] შეირგო იქაური მიწა და ჰაერი. რაჭაშიც ცდილობენ ჩეხური „ფრანკოვკას“ მოშენებას. უნდათ თავისი ზვრების საჯიშედ აქციონ იგი, თუმცა თავად სამამულო რქებს რა დაულევთ, მაგრამ უმთავრესად ის მიაჩნიათ, რომ შორს ჩეხი კაცი ძმად და მეგობრად ეგულვით, სოციალისტურ შეჯიბრებაში მეცალეობას უწევთ.



უგზოობა ოდითგან აფერხებდა რაჭის ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უშლიდა გლეხკაცს გარჯაში, ურთიერთობაში; მაგრამ არ უთმობდა რაჭველი კაცი ბუნებას, რომ მეზობლისთვის ხმა მიეწვდინა, სტუმარ-მასპინძლობა არ მოშლოდა და მტრისთვის საკადრისი მიეზღო. კვალავდა საურმე გზებს, ტკეპნიდა საცალფეხო ბილიკებს, ეჭიდებოდა მთებს, კალაპოტს უდებდა გულამღვრეულ მდინარეებს. ელობებოდა გაზაფხულის დაუკითხავ ნიაღვრებს, მაგრამ თოხითა და წერაქვით, ცულითა და ძალაყინით რას გახდებოდა... ახლა აქ საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ყოველწლიურად 300 ათასი მანეთი ულირს გზების მშენებლობა, მოვლა და რეკონსტრუქცია. 1965 წელს დაიწყო და უკვე დამთავრდა რაიონულ ცენტრებში: ონში, ამბროლაურში, ტყიბულში, ცაგერში, მესტიაში გამავალი გზის მოასფალტება. აქაურობას ტრაქტორები, ბულდოზერები, ამწეები და სატვირთო ავტომანქანები შემოჯარვია, რკინა-ბეტონით უმაგრებს ბჭეებს და საავტომობილო გზას ღვედივით აკრავს ტანზე. ამ გზას რაჭა დედამიწის ყველა მერიდიანზე გაჰყავს. ამ გზით მიდიან მასთან საბჭოელი თუ უცხოელი ტურისტები, ალპინისტები, მეცნიერები. ზარშან უცხოელი თანამემამულე, ენათმეცნიერი თამარ დრაგაძე სწვევია ინგლისიდან. რაჭული დიალექტი შეუსწავლია საგულდაგულოდ და სამუდამოდ დამეგობრებია აქაურ ხალხს.

ეს გზა მშვიდობის ხიდია, სხვადასხვა ხალხებთან სამეგობროდ გადებული. ამ გზით წაიღეს ჩეხოსლოვაკიაში მისი უბის ვაზი და ბრატისლავა რაჩაში „ალექსანდრიულის“ ნერგი ახარეს. რაჭულმა ვაზმა



საკონსერვო ქარხნის კომკავშირელი მუშა რ. მეტრეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო დ. იათაშვილისა



ხიდისკარის კულტურის სახლი

ამბროლაურიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფელ სადმელთან მორების მთები ალმართულა. ეს რაჭის ხეტყის დამამზადებელი კომბინატია. იგი 20 ათას კუბმეტრ ხის მასალას აძლევს ყოველწლიურად სახელმწიფოს. მისი წარმადობა შეიძლებოდა ორჯერ ან უფრო მეტადაც გაზრდილიყო, მაგრამ უპირველესია ფლორისა და ფაუნის მოვლა, ბუნებაში კანონზომიერების დაურღვევლობა, ბუნების ყველა წყალობის ყაირათიანად გამოყენების აუცილებლობა. ახლა ადამიანმა ყველაფერს თავისი ხელი დაადო, მფარველი და კანონზომიერი. კანონზომიერად იხარჯება ტყე, ამაოდ არ ილვრება მინერალური წყლები. სოფლებში: ხიდისკარში, ურავში, გორისუბანში სამკურნალო აბანოებია. ასე, ადამიანზე ზრუნვაში იბადება შრომის ხალისი, ბაღებსა და ბაღჩებში, ფერმებსა და ველმინდვრებზე, საწარმოებსა და დაწესებულებებში. მაგრამ ზოგიერთებს, რომლებსაც უფრო მეტად ბუნების თვალუხილველი სამყარო ხიბლავთ, მდიდარი და ამოსაცნობი. მათ რიცხვს ეკუთვნიან ხარისთვალის გეოლოგიური პარტიის წევრები. გეოლოგებმა ხარისთვალის, მოხვარეულისა და შაორის ზღვის ქვეშ ქვანახშირის მდიდარ საბადოს მიაკვლიეს, ტყიბულის ქვანახშირის ტყუპს. ეს მათი შეუპოვარი შრომისა და დიდხნის ძიების საფასურია.

შაორის ზღვაში მეთევზეები თევზს ამრავლებენ და ყოველწლიურად 50-60 ტონა სარკისებრ კობრს უგზავნიან რესპუბლიკის მოსახლეობას. მალე მდინარე კრიხულაზე, სოფელ სხვავაში კალმახსაშენს აგებენ. წლიურად 40 ტონა კალმახს მისცემენ ქვეყანას. რაიონის ფერმები კი მომავალი წლიდან 500 ტონა ხორცს მიჰყიდიან სახელმწიფოს.

ახლა ამბროლაურის რაიონში აღმშენებლობის ხუთწლედია. რაიონულ ცენტრს 100 ადგილიანი საავადმყოფო და მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები შეემატება, ხვანჭკარას — ღვინის ქარხანა, ხიდისკარსა და წესს — სკოლის შენობები, სხვავას — სამკურნალო აბანო. ასე ცხოვრობს ამბროლაური.

**მარიკა გვიმრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# რეფორმატორი

ჩვენი რესპუბლიკა და მასთან ერთად მთელი საბჭოთა კავშირის ხალხი, ზეიმით აღნიშნავს გამოჩენილი რეჟისორის, ქართული თეატრის მესაძირკვლის კოტე მარჯანიშვილის დაბადებიდან მე-100 წლისთავს. ეს თარიღი ემთხვევა განახლებული საბჭოთა თეატრის 50-ე წლისთავს, რომელიც 25 ნოემბერს სრულდება. 50 წლის წინათ მარჯანიშვილმა განახორციელა „ცხვრის წყაროს" დადგმა. ამ დღიდან იწყებს თავის წელთაღრიცხვას ქართული საბჭოთა თეატრი. ასე რომ, მარჯანიშვილი ითვლება ქართული თეატრის რეფორმატორად და მან სამართლიანად დაიმსახურა ეს მაღალი წოდება.

სწორედ მარჯანიშვილიდან იწყება ჭეშმარიტი ცხოვრება ჩვენი თეატრისა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენ მარჯანიშვილამდე თეატრი არ გვქონდა:

ისტორიული წყაროებით დადგენილია, რომ ჩვენ თეატრი ადრეულ საუკუნეებშიც გაგვაჩნდა. მაგრამ ჟამთა სიავემ, ისევე როგორც ბევრი სხვა კულტურული ცენტრი, თეატრიც მოსპო. ახლა შემორჩენილი გვაქვს ბევრი არქეოლოგიური ძეგლი, ხალხური სანახაობანი; რომლებიც მოწმობენ, რომ ჩვენში თეატრი განვითარების მაღალ საფეხურზე იდგა.

უკანასკნელად ქართული თეატრის არსებობის ტრაგიკული დღე იყო კრწანისის ბრძოლა. ამ ბრძოლაში თეატრის მთელი დასი დაიღუპა, ისტორიამ შემოინახა ერთადერთი მონაწილის — მაჩაბლის გვარი.

მე-19 საუკუნეში გ. ერისთავმა, ამ დიდმა მოღვაწემ, განაახლა ქართული თეატრი. ჩვენს თეატრს ამშვენებდნენ ბრწყინვალე მსახიობები: ვასო აბაშიძე, ნუცა ჩხეიძე, კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ტასო აბაშიძე, და მრავალი სხვა; მაგრამ, ქართულ თეატრს არ ჰქონდა ერთიანი სახე, არ ყოფილა გაერთიანებული ორგანიზაციული ბირთვი. ეს გააკეთა კოტემ. მან თეატრის ყოველ კომპონენტს მიუჩინა თავისი ადგილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი ყურადღება ძირითადად მსახიობებზე გადაიტანა. მან აღზარდა და დააოსტატა მთელი რიგი მსახიობებისა. ქართულ სცენას მისცა მრავალი დიდი არტისტი. შემდგომ წლებში სწორედ მის მიერ აღზრდილმა მსახიობებმა ჰპოვეს საერთო აღიარება, არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ღამბაშიძე, აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი და სხვები.

კოტე მარჯანიშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართველ რეჟისორთა აღზრდას, მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ალექსანდრე ახმეტელი, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა რუსთაველის თეატრს.

კოტე რომ საქართველოში ჩამოვიდა, მეტად ღარიბი მშობლიური დრამატურგია დახვდა, ეს განსაკუთრებით ითქმის მის თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე, და მან ამ საქმესაც დააჩნია თავისი კვალი. მისი მზრუნველობით აღიზარდნენ ისეთი დრამატურგები, როგორიცაა პ. კაკაბაძე და კ. კალაძე. მან მიიყვანა თეატრში დ. შენგელაია, ალ. ქუთათელი და სხვანი.

მარჯანიშვილმა შეძლო უფრო ნაყოფიერი გაეხადა უფროსი თაობის მწერლები: შალვა დადიანი და სანდრო შანშიაშვილი. მარჯანიშვილის შემოქმედებით ალღომ შემატა ქართულ სცენას ისეთი მხატვრები, როგორიც იყვნენ ირ. გამრეკელი, კ. ოცხელი; კოტესთან მოღვაწეობდნენ მისი საყვარელი მხატვრები ელ. ახვლედიანი, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, სიდამონ ერისთავი, ლანსერე, შარლემანი.

კოტემ დაიახლოვა და თეატრში ადგილი მიუჩინა ნიჭიერ კომპოზიტორებს, თ. ვახვახიშვილს, კ. მეღვინეთუხუცესს, ან. ბალანჩივაძეს, ალ. მაჭავარიანს, შ. შველიძეს...

ქართული თეატრის ისტორიაში პირველად კ. მარჯანიშვილმა გადაშალა ახალი ასპარეზი ქართული თეატრალური კულტურის წინაშე — პირველად მან გაიყვანა იგი საგასტროლოდ ჩვენი რესპუბლიკის გარეთ. ამ გასტროლებმა მთელ საბჭოეთს დაანახვა ქართული თეატრალური კულტურის უდიდესი ტრადიციები.

თვითნებობას, სიზარმაცეს მიჩვეული ქართველი მსახიობი, მარჯანიშვილმა პირველი დღიდანვე ჩააყენა თავის კალაპოტში, დისციპლინას ქიუჩვეველთ პირველსავე რეპეტიციაზე აგრძნობინა, რომ წესრიგის დარღვევას ვერ აიტანდა. მაგონდება ასეთი შემთხვევა: დანიშნული იყო ლოპე დე ვეგას პიესის „ცხვრის წყაროს" კითხვა. დრამა უნდა წაეკითხა მშვენიერი ქართული მეტყველების მქონე მსახიობს გიორგი ფრონისპირელს. წინა დღით, ზოგიერთ ჩვენს მსახიობს კარგად ექეიფნა, სუფრაზე ბევრი სიტყვა წარმოეთქვა ქართული თეატრის მომავალზე და ახლა, ჩვეულებისამებრ, წუხანდელ შთაბეჭდილებებს გვიყვებოდნენ. იხსენებდნენ მოსწრებულ სიტყვებს, ანეგდოტებს, ქალაქის ჭორებს. აი, ასეთი განწყობილების ატმოსფეროში დაიწყო კოტე მარჯანიშვილის პირველი რეპეტიცია ჩვენს თეატრში.

მსახიობების უმრავლესობა კოტეს დარბაზში დაუხვდა, ხოლო ნაწილი მას შემოჰყვა. მსახიობები კოტეს თავაზიანად ექცეოდნენ, მაგრამ ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, რეპეტიციაზე მაინც ისე ეჭირათ თავი, როგორც ეს წლების მანძილზე სჩვეოდათ. თამამად, მოშვებულად, ყოველგვარი შინაგანი მობილიზაციის გარეშე. კოტე ამას გრძნობდა, პაპიროსს მალიმალ ეწეოდა. ამჩნევდა, რომ დიდი უმრავლესობა ხეირიანად არც კი უგდებდა ყურს ტექსტს, ერთიმეორეს რაღაცას ეჩურჩულებოდნენ. კოტე გაკვირვებით უცქერდა ყოველივე ამას, პაპიროსის წევას უმატებდა, და არაფერს ამბობდა.

პიესის კითხვა დაწყებული იყო, როდესაც შემოვიდა ტასო აბაშიძე, თამამად წავიდა თავისი ადგილისაკენ და, ვითომც აქ არაფერიაო, დაჯდა. მხოლოდ მარჯანიშვილს უთხრა სასხვათაშორისოდ: «Извини, Котэ, что я опоздала!» კოტემ არაფერი უპასუხა, უსიტყვოდ წამოდ-



კოტე მარჯანიშვილის პორტრეტი
მოქანდაკე ლ. ქვლიძე



კოტე მარჯანიშვილი ოჯახში

ფოტორეპროდუქციები დ. სამხარაძისა

გა, სწრაფი, ენერგიული ნაბიჯით გაიარა სარეპეტიციო დარბაზის ხაკმაოდ ვრცელი ფართობი, მივიდა კართან და ჩაჭვით გადარაზა. კოტეს ამ მოულოდნელმა საქციელმა განაცვიფრა აქტიორები. ყურადღება გაამახვილეს. კითხვა განაგრძეს. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც მოადგა კარს და ენერგიულად ჩაეჭიდა, გაღება მოინდომა, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა. დარბაზში შემოსვლის მსურველმა ისე მაგრად შეანჯღრია კარი, რომ ჩაჭვი გარაჩხუნდა და ამან საკმაოდ დიდი ხმაური ქამოიწვია. ყველამ სული განაბა, კოტეს მისჩერებოდნენ და ელოდნენ, რას იზამდა იგი. კოტემ მტკიცედ, ხმამაღლა შესძახა გარეთ მყოფს: **«Мы заняты!»** ამ სიტყვებმა თითქოს სიმბოლიური მნიშვნელობა მოიპოვეს. ამ უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი სიტყვების ქვეტექსტი ასეთი იყო: ახლა ჩვენ დიდი საქმის წინაშე ვდგავართ, დიდი ამოცანა გვაქვს შესასრულებელიო... ცხადი იყო, რომ კოტე მარჯანიშვილის სახით ქართულ თეატრს მოევლინა ისეთი ადამიანი, რომელიც არავითარ კომპრომისს არ დაუშვებდა.

და დაიწყო წარმტაცი რეპეტიციები. დაუვიწყარი, არნახული მუშაობა თეატრში. მე წილად მხვდა ბედნიერება მოწმე ვყოფილიყავი, თუ როგორ მუშაობდა იგი. მე ხომ სიკვდილამდე მის გვერდში ვიდექი, მასთან ვმუშაობდი. ათი წელიწადი იმოღვაწა მან ქართულ თეატრში. ამ ხნის მანძილზე კოტემ აღზარდა მთელი თაობები მსახიობებისა, დრამატურგებისა, მხატვრებისა, კომპოზიტორებისა; არ იყო არც ერთი ისეთი საზოგადოებრივი წამოწყება, რომელშიც მარჯანიშვილს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. მის სახელთანაა დაკავშირებული ორი თეატრის არსებობა — რუსთაველისა და მისი სახელობისა.

ქართველმა ერმა მწარედ დაიტირა თავისი საყვარელი შვილის უდროოდ და მოულოდნელად დაკარგვა. ხალხი მის სახელს სათუთად ინახავს, და როდესაც საქართველოს საამაყო შვილებს ჩამოთვლის, მათ შორის კოტეს საპატიოთა შორის აუცილებლად მოიხსენიებს.

კოტე მარჯანიშვილისადმი ქართველი ხალხის სიყვარულის დამადასტურებელია ისიც, რომ მისი ნეშტი მთაწმინდაზე ქართველ დიდებულ მამულიშვილთა გვერდით განისვენებს. იქ, სადაც დიდი ილია, აკაკი, ვაჟა, ბარათაშვილი...

ხშირად ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს — როგორი იქნებოდა ქართული თეატრი, მას რომ მარჯანიშვილი არ მოვლენოდა? რა თქმა უნდა, თეატრი გვექნებოდა, გვეყოლებოდნენ ნიჭიერი რეჟისორები, მსახიობები, მაგრამ იმ სახით, როგორიც იგი დატოვა მარჯანიშვილმა, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა: ქართული თეატრი დღეს აღიარებული და ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთშიც. ამაშია ძალა და ღვაწლი მარჯანიშვილისა ქართველი ერის წინაშე. ამაშია მისი უკვდავებაც.

**დოდო ანთაძე,**
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.



კოტე მარჯანიშვილი მსახიობთა შორის



კოტე მარჯანიშვილი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა
პროფკავშირების ყრილობის მონაწილეთა შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარჯანიშვილის რჩეული მოწაფე ქალები

ჩვენ არ შევუდგებით ერთხელ უკვე დამკვიდრებული ჭეშმარიტების მტკიცებას, რომ კოტე მარჯანიშვილი განსაკუთრებული მოვლენაა ქართულ თეატრში. არც იმით გაგაკვირვებთ, თუ დავძენთ, რომ მარჯანიშვილთან მუშაობა ყველა მსახიობისთვის სანუკვარი ოცნების ახდენა იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მთელი არსებით ერთვოდნენ კოტეს შემოქმედების „ბობოქარ ტალღებს". საკმარისი იყო კ. მარჯანიშვილის მახვილ თვალს რომელიმე მათგანში ნიჭის ნაპერწკალი შეენიშნა და ამ ნაპერწკალს იგი მოგიზგიზე ალად გადააქცევდა, რომელსაც, შემდგომ, დროთა ვითარებაში ხვეწდა და შესაფერის მიმართულებას აძლევდა.

ქართულ სცენაზე ერთ-ერთმა პირველთაგანმა თამარ ჭავჭავაძემ იგრძნო კოტეს რეჟისორული ნიჭის დიადი ძალა. რუსეთიდან დაბრუნებულმა კ. მარჯანიშვილმა პირველ დადგმად ლოპე დე-ვეგას „ცხვრის წყარო" აირჩია.

კოტემ ლაურენსიას როლი უყოყმანოდ მიანდო სრულიად ახალგაზრდა გამოუცდელ თამარ ჭავჭავაძეს. სხვა შემთხვევაში ვიტყოდით, დამწყებ სცენისმოყვარეს ბედმა გაუღიმაო; მარჯანიშვილთან ბედის ამგვარი ღიმილი შეუძლებელი იყო: დიდ რეჟისორს შესწევდა ძვეშეცნეული უნარი — ბოლომდე ამოეცნო მსახიობის ფარული თუ თვალსაჩინო შესაძლებლობანი. თამარ ჭავჭავაძემ ერთხმად აალაპარაკა თეატრალური სამყარო. მართებულად შენიშნავს გ. ბუხნიკაშვილი, როდესაც წერს: „თ. ჭავჭავაძის ნიჭიერმა თამაშმა იმდენად განაპირობა „ცხვრის წყაროს" დიდი წარმატება, რომ ეს მსახიობი შემდეგ სცენას კიდევაც რომ ჩამოშორებოდა, მისი ღვაწლი მაინც აღინიშნებოდა ქართული თეატრის ისტორიაში".

.არც ერთ მსახიობ ქალს არა აქვს მარჯანიშვილის დადგმებში იმდენი მთავარი როლი ნათამაშევი, რამდენიც თამარ ჭავჭავაძეს: პეგინ-მაიკლი (ჯონ სინგის „გმირი"), მისის პეიჯი (შექსპირის „ვინძორის ცელქი ქალები"), ჟანა დარკი (შოუს „წმინდა ქალწული"), ლოლა (კ. კალაძის „როგორ"), ბეატრიჩე (შელის „ბეატრიჩე ჩენჩი"), ხატიჯე (კ. კალაძის „ხატიჯე") და სხვ.

კ. მარჯანიშვილთან გამობრწყინდა ქართული სცენის მშვენების ვერიკო ანჯაფარიძის თვითმყოფადი ტალანტი. პირველი აღიარება მარჯანიშვილისეულ დადგმაში ვერიკომ მოიპოვა ოფელიას განსახიერებით (შექსპირის „ჰამლეტში"), სადაც მთელი სისავსით გამოვლინდა მსახიობის აქტიორული თავისებურებანი: მთრთოლვარე ტრაგიზმი — შერწყმული სათნოებასა და სინარნარესთან, ზებუნებრივი პოეტურობა, ნატიფი, დახვეწილი პლასტიკა. ამ თვისებებმა განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი მსახიობის შედევრში — ივდითის როლში („ურიელ აკოსტა"). ამ როლმა ვერიკოს ფართო მასშტაბის ხელოვნის სახელი დაუმკვიდრა. მისი ივდითი საყოველთაო აღფრთოვანების ობიექტად იქცა არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ ყველგან, სადაც კი ჰქონდათ ბედნიერება მოხიბლულიყვნენ მსახიობის ფილიგრანული ოსტატობით. ივდითი დღესაც ვერიკოს შემოქმედების მწვერვალადაა მიჩნეული. კ. მარჯანიშვილის რეჟისორული აზროვნება ისეთივე ძალით აღაფრთოვანებს თანამედროვე მაყურებელს, როგორც მაშინ — „ურიელის" პრემიერის დღეს. ამის ნათელი დადასტურებაა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ამასწინანდელი გასტროლები მოსკოვში, სადაც ვერიკო ანჯაფარიძის მიერ აღდგენილ მარჯანიშვილისეულ „ურიელ აკოსტას" აღტაცებითა და უჩვეულო ინტერესით შეეგება დედაქალაქის მომთხოვნი მაყურებელი.

ერთ-ერთი მსახიობი ქალი, რომელმაც თავიდანვე მიიქცია დიდი რეჟისორის ყურადღება, ცეცილია წუწუნავა გახლდათ. კოტეს ძალიან მოეწონა მისი ხალიჩე ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავეში" და კაროლინა დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში". კ. მარჯანიშვილთან მუშაობამ დიდი გავლენა მოახდინა ც. წუწუნავას მთელ შემოქმედებაზე. მსახიობის მდიდარ ბიოგრაფიაში კოტესთან შექმნილი ერთფრაზიანი როლიც კი საეტაპო მნიშვნელობის მოვლენად იქცა. ხომ ეპიზოდური როლია ლირსა? (პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"), მაგრამ დღემდე იგი მიუღწეველი მწვერვალია ყველა მსახიობისთვის.

კოტე მარჯანიშვილის ჩამოსვლას საქართველოში დაემთხვა ქართული დრამატული სტუდიის გახსნა (ხელმძღვანელი და დამაარსებელი აკ. ფალავა). სტუდიის ერთ-ერთ პედაგოგად, სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად, რა თქმა უნდა, მიწვეულ იქნა კოტე მარჯანიშვილიც. აქ მარჯანიშვილმა შექმნა სტუდიელთა შესანიშნავი სპექტაკლი — თ. ვახვახიშვილის პანტომიმა „მზეთამზე", რომელშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა არაბეთის მეფის ასულის ფატმანის განმსახიერებელი სესილია თაყაიშვილი.

1926 წელს ს. თაყაიშვილმა წარმატებით დაამთავრა სტუდია და რუსთაველის თეატრის დასში ჩაირიცხა. ამავე წლიდან კ. მარჯანიშვილმა დასტოვა რუსთაველის თეატრი. სესილიამ ოთხი წელი იმუშავა უმარჯანიშვილოდ (მან ვერ შეძლო ქუთაისში გაჰყოლოდა კოტეს) და როდესაც, 1930 წელს, მარჯანიშვილის მიერ შექმნილი თეატრი ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა, ს. თაყაიშვილმა მაშინვე მიაშურა თავის საყვარელ აღმზრდელს. კოტე მზრუნველობით ეპყრობოდა ს. თაყაიშვილს, ასწავლიდა სახეზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდებს, უვითარებდა სცენური სიმართლის შეგრძნებასა და განცდას. ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემაში" სესილიას ანკას ეპიზოდური როლი დაეკისრა. თავდაპირველად არაფერი გამოდიოდა, სესილიამ ვერ მიაგნო თავისი გმირის შინაგანი სამყაროს სადავეებს. კ. მარჯანიშვილმა განუმარტა, რომ ანკას წარმოსახვის მამოძრავებელი მარცვალი მისი მოქმედებების უჩვეულო რიტმში უნდა ეძებნა. ს. თაყაიშვილი გაჰყვა რეჟისორის მითითებას და საბოლოოდ ანკას უფერული სახიდან მან შექმნა სისხლსავსე, გამოკვეთილი პერსონაჟი. კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით სესილიამ შექმნა ამალია კარლოვნას მეტად საინტერესო, სრულყოფილი სახე (აფინოგენოვის „შიში").

კოტე მარჯანიშვილის პოპულარობა რუსეთიდან იწყება: აქ გამოიმუშავა მან ის რეჟისორული მრწამსი და ხელწერა, რაც შემდგომ საქართველოში დახვეწა და განავითარა. 1913 წელს, მოსკოვის გაზეთებში გამოჩნდა ცნობა, რომ კ. მარჯანიშვილი ქმნიდა სრულიად ახლებურ, ეგრეთწოდებულ „თავისუფალ თეატრს", რომელიც მკვეთრად იქნებოდა გამორჩეული სხვა თეატრებისაგან თავისი შინაგანი სტრუქტურით, ფორმით, მანერით. აქ დაიდგმებოდა როგორც ოპერა, ასევე ოპერეტა, პანტომიმა, მელოდრამა, ერთი სიტყვით, თეატრალური ხელოვნების თითქმის ყველა ჟანრის ნიმუში. პერსპექტივა მეტად მიმზიდველი იყო. იმხანად მოსკოვის გიმნაზიაში სწავლობდა ბაბო გამრეკელი, რომლის უზომო გატაცება თეატრით იცოდა კოტე მარჯანიშვილმა. და ხი, მან გადასწყვიტა სიურპრიზი მოემზადებინა ბაბოსათვის და თავის ახლად შექმნილ თეატრში დაიბარა მოსალაპარაკებლად. ბაბოსთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თითქმის გაოგნებულმა შეაღო კოტეს სამუშაო ოთახის კარები.

„ხელშეკრულების ხელმოწერისას მღელვარებამ ისე გამომთიშა, რომ ჩემი გვარიც კი დამავიწყდა, ამიტომ ცოტახნით შევყოვნდი. „თქვენ რა, გადაიფიქრეთ?" — გაკვირვებით მკითხა იმ პიროვნებამ, რომელსაც კოტემ ჩემი ხელშეკრულების გაფორმება დაავალა.

— ამ სიტყვებმა ისე შემაშინეს, რომ უცებ მოვედი გონს და კვლავ აღვიდგინე მეხსიერებაში საკუთარი გვარი", — ღიმილით იგონებდა ბაბო გამრეკელი.

„თავისუფალი თეატრის" სპექტაკლებში ბ. გამრეკელმა რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი შექმნა: ბერძენი გოგონა (ოფენბახის ოპერეტაში „მშვენიერი ელენე"), გოგონა (ა. დოდეს მელოდრამაში — „არლეზიანელი ქალი", მუსიკა ბიზესი) და სხვ. სამწუხაროდ, ეს მეტად თავისებური თეატრი პირველივე სეზონის ბოლოს დაიხურა.

1922 წელს, ბაბო გამრეკელს კვლავ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლში, ამჯერად უკვე ქართულ სცენაზე. ეს სპექტაკლი იყო „ცხვრის წყარო". ბაბო ორ სხვადასხვა ბიჭს ასახიერებდა. პირველ მოქმედებაში იგი წარმოგვიდგენდა ზანგს, ხოლო ფინალში — ბიჭუნას, რომელსაც აწამებენ. კოტე აღტაცებული იყო ბაბოს მგრძნობიარე შესრუ-



მაკა — ც. წუწუნავა. შ. დადიანის „კაკალ გულში“.



ლაურენსია — თ. ჭავჭავაძე. ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“.

ლებით: „რამდენი გულწრფელობაა მასში! მისმა კვნესამ და ყვირილმა ჟრუანტელი მომგვარა“. ამგვარად, უზიარებდა კ. მარჯანიშვილი თავის განცდას ეფემია მესხს.

ზ. გამრეკელმა უთუოდ შეიტანა თავისი წვლილი მარჯანიშვილის დიდოსტატური სპექტაკლის („მზის დაბნელება საქართველოში“) წარმატებაში, სადაც მარეხის ჰაეროვანი, მეტად მომხიბვლელი სახე შექმნა.

იმ მსახიობთა შორის, რომლებიც 1928 წელს, თბილისიდან ქუთაისში გაჰყვნენ კ. მარჯანიშვილს, მერი დავითაშვილიც იყო. ამ პერიოდის სპექტაკლებში მერის თითქმის ყველგან ეპიზოდური სახეების შექმნა ევალებოდა, მაგრამ მისი აქტიორული მონაცემები იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ უსიტყვო როლშიც კი მკვეთრ დამახასიათებლობას აღწევდა.

განსაკუთრებული პლასტიურობით, მუსიკალობითა და რიტმის შესანიშნავი შეგრძნებით გამოირჩეოდა მედეა ქორელი. ვისაც კი შესაძლებლობა ჰქონდა ენახა მარჯანიშვილის მიერ დადგმული „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, ისინი ყოველთვის გამოჰყოფენ ამ სპექტაკლიდან მედეა ქორელისა და სერგო ზაქარიაძის ფენომენალურ ცეკვას. მერი დავითაშვილის ცნობით მათ ნამდვილი ფუროორი მოახდინეს; მაყურებელთა გარკვეული ჯგუფი საგანგებოდ მოდიოდა სწორედ ამ ცეკვის სანახავად.

კოტე მარჯანიშვილი მეტად აფასებდა ნუნუ მაჭავარიანის არტისტულ ნიჭს. ნუნუ იმ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ერთნაირი სიძლიერით წარმოგვიდგენენ როგორც დრამატულ, ასევე კომიკურ პერსონაჟებს. ამიტომაც, რეჟისორი შექსპირისეული დეზდემონას პარალელურად ათამაშებდა თიკოს (შ. დადიანის „კაკალ გულში“). და სხვ. ერთხელ კ. მარჯანიშვილმა განიზრახა გამოეცადა ნ. მაჭავარიანის სცენური გულწრფელობა და „ოტელოს“ გენერალური რეპეტიციის დროს მოულოდნელად მოსთხოვა წამოეძახა „ჰოპლა!“ დაბნეულმა ნ. მაჭავარიანმა ვერ მოახერხა „ჰოპლას“ წარმოთქმა. კოტემ გაბრაზებულმა დასტოვა დარბაზი. ნუნუ მაჭავარიანი საოცრად აღელდა, მეტად უკვირდა კოტეს საქციელი და ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეთქვა დეზდემონას „ჰოპლა“! იმავე საღამოს კოტემ სიცილით დაამშვიდა და უთხრა — მე ის მინდოდა გამეგო, თუ როგორ გრძნობდი იმას, რასაც იმ წუთს სცენაზე აკეთებდიო.

კ. მარჯანიშვილის საყვარელი მოწაფეების რიცხვს უცილობლად უნდა მივაკუთვნოთ ელენე და ირინე დონაურები, ივლიტა ჯორჯაძე და ხათუნა ჭიჭინაძე.

კოტე მარჯანიშვილის მოწაფეთა უმრავლესობა ქართული საბჭოთა სცენის გამოჩენილ ოსტატებად ჩამოყალიბდნენ. ზოგიერთი მათგანი დღესაც ამშვენებს და ალამაზებს ჩვენს სახელოვან ქართულ თეატრს.

ვაჟა ქიზუა



ივდითი — ვ. ანჯაფარიძე. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“.

ამალია კარლოვნა — ს. თაყაიშვილი. ა. აფინოგენოვის „შიში“.



# წესრიგის

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის შინაგან საქმეთა ორგანოებს მამაცური ბრძოლისა და შრომის მდიდარი ტრადიცია აქვს. ქართული საბჭოთა მილიცია კი — ყოველთვის იყო მის ავანგარდში. წესრიგის დამცველ მამაკაცთა გვერდით მუდამ შემართებით დგანან ქალები, რომლებიც უანგაროდ, ვაჟკაცურად იღწვიან შინაგან საქმეთა ორგანოებში. გვყვანან ვეტერანი ჩეკისტი ქალები, მოვიდა ახალი შევსება.

ისინი ერთ დიდ საქმეს ემსახურებიან — გადააქციონ ჩვენი რესპუბლიკა სანიმუშო კულტურისა და წესრიგის მხარედ. ამ მხრივ ძალიან ბევრი გაკეთდა უკანასკნელ ხანს — საგრძნობლად შემცირდა ყველა სახის დანაშაულობანი წინა წლებთან შედარებით.

ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წილი უდევთ ჩვენს სახელოვან ქალებს.





კარგი ფინანსისტი, ენერგიული და დაუზარელი მუშაკი, ასე იცნობენ სამინისტროს საფინანსო განყოფილების ქვეგანყოფილების უფროსს, შინაგანი სამსახურის მაიორს — **ანიკო მაჭავარიანს**, ხოლო მის გვერდით შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის ქვეგანყოფილების უფროსი, შინაგანი სამსახურის მაიორი **ტატიანა მიქაძეა** აღბეჭდილი: იგი სამართლიანად ითვლება ჩეკისტი ქალების ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენლად.

ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა კომკავშირის აღზრდილები ერთად მოახვედრა — ესენია სამინისტროს საგამომძიებლო სამმართველოს გამომძიებელი, მილიციის ლეიტენანტი **ნანა აბულაძე** და ქარელის რაიონის მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორი მილიციის ლეიტენანტი **ლილი გელაშვილი**.

ნანამ უკვე დაიმკვიდრა გამოცდილი გამომძიებლის სახელი. ხოლო ლილი აღიარებულია ახალგაზრდების ღირსეულ აღმზრდელად.



# დამცველები



ამ სურათზე აღბეჭდილნი არიან (მარცხნიდან) სახანძრო დაცვის სამმართველოს კადრების სამსახურის უფროსი ინსპექტორი, შინაგანი სამსახურის მაიორი ასია თამრიზიანი, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს კადრების ინსპექტორები, მილიციის კაპიტნები — ლიუდმილა ჩხეიძე და ტატიანა ჟანდარელი. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს ინსპექტორი, შინაგანი სამსახურის კაპიტანი ვერა სოხინა.

ომგადახდილ ტატიანას და მის კოლეგებს ასიას, ლიუდმილასა და ვერას იცნობენ, როგორც საქმის მცოდნე და გულისხმიერ ადამიანებს.

შრომა-გასწორების დაწესებულება! ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი. მეტად სპეციფიურია ეს ,,ინსტიტუტი'', აქაური მუშაკები დიდ საქმეს აკეთებენ დროებით იზოლირებულთა ხელახალი აღზრდა-გამოსწორებისათვის.

აი, ისინი: საგამომძიებლო იზოლიატორის თანამშრომელი ნინა მრევლიშვილი, პრინციპული და საქმიანი, ამ დაწესებულების ცენტრალური აპარატის მუშაკი ჯულიეტა მიქელაძე — იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლექტივში, ხოლო ამავე სამმართველოს უფროსი ეკონომისტი შურა ტუტუნჯიანი, გამოცდილი სპეციალისტია.



გვერდი ორგანიზებულია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკის, მაიორ გიორგი მეგრელიშვილის მიერ.

შაქრო სამადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წუთები...

მოთხრობა

მწვანე კონცხიდან მახინჯაურისაკენ მივსეირნობდი, გვერდით ნაცნობი მომყვებოდა. ერთ ალაგას ცოტა ხნით შევჩერდით. ახლოს, ბუჩქის იქით, ქალს შევასწარი თვალი. მან ერთ წამს მზერა ჩემს მზერას შეაგება, შემდეგ დინჯი ნაბიჯებით განაგრძო გზა.

— სიმონ, შეხედე, რა ქალია! — მივმართე თანამგზავრს.

ქალი უკან შემობრუნებას, ჩვენს შეთვალიერებას არ ცდილა, ჩვენც კი მიახლოვება და გამოლაპარაკება ვერ გავბედეთ. ქალი შედგა, ჩვენ სიარული გავაგრძელეთ და მალე მის წინაშე აღმოვჩნდით. სიმონი გაოცდა:

— გულნარა!

— სიმონ!

სიმონმა გულნარა გამაცნო. მალე მისი ამხანაგებიც გამოჩნდნენ, მცირე საუბრით გაირკვა, გულნარა ხვალ დილით ბათუმში ამხანაგებს მიაცილებდა.

— დილაბნელზე მახინჯაურიდან ბათუმს ჩასვლა არ გაგიჭირდებათ? — ვკითხე გულნარას.

— რა უჭირს, წავალთ.

— ჩვენ გაგაცილებთ.

— რად შეგაწუხოთ?

— რა შეწუხებაა, პირიქით. ასე არაა, სიმონ?

სიმონმა ძლივს, უნებურად დაიქნია თავი, ეს არ გამოპარვია გულნარას. მე პირობა მივეცი ქალებს, ბათუმს აუცილებლად გაგაცილებთ-მეთქი.

მე და სიმონი ერთხანს უბრად მოვდიოდით.

— სიმონ, რა დაგემართა, რამ ჩაგაფიქრა?

— არაფერმა, ისე...

— მიამბე რამე გულნარაზე! — გულწრფელად ვთხოვე სიმონს.

— გიამბობ.

მაგრამ მხოლოდ ეს მითხრა:

— ფრთხილად იყავი, ბიჭო, მისგან მოხიბლულთა რიცხვს შენც არ მიემატო, თავი არ დაიჩაგრო, გული არ დაიწყვიტო!

...მე და გულნარამ გასაცილებლები გავაცილეთ. ბათუმიდან უკან დაბრუნებისას ქალმა სინანულით თქვა:

— ზეგ, ალბათ, მეც მომიწევს წასვლა!

— ასე მალე?

— საგზურს დრო გაუვიდა.

— ახალი საგზური რომ ვიშოვო, დარჩები?

— სიამოვნებით.

ბედად, ადვილად ვიშოვე საგზური, და გულნარაც იქ გადმოვიდა, სადაც მე ვისვენებდი. ორიოდე დღის შემდეგ მკითხა:

— სიმონს დიდი ხანია იცნობთ?

— არა.

— სად გაიცანით?

— აქ.

— დასაკარგი კაცი არ არის.

— თქვენ რად დაკარგეთ?

— გიამბოთ ყველაფერი?

— ზოგი რამ...

— აშკარა, დაუფარავი, მართალი კაცია, მიხვეულ-მოხვეული არ უყვარს.

— მეც ასეთი მგონია.

— ველარ ვხედავ, წავიდა?

— კი.

გულნარა თანდათან საკუთრებად მივიჩნიე, მის სიახლოვეს ყოფნა, მასთან საუბარი უმაღლეს ნეტარებად მესახებოდა. მწყინდა, ვინმეს რომ დაელაპარაკებოდა, დაუახლოვდებოდა. ერთი სიტყვით, აუტანელი გავხდი. ო, როგორ მინდოდა გულნარას ოჯახური მდგომარეობის გაგება! როგორც კი გამოკითხვას დავაპირებდი, ენა მებმებოდა, აზრის დალაგება მიძნელდებოდა, საკუთარი თავისადმი დაცინვის გრძნობით ვიმსჭვალებოდი. ერთხელ, როგორც იქნა, გავბედე და ვკითხე:

— რა უშავს, მიამბო შენს წარსულზე?

— რა უნდა უშავდეს, გიამბობ.

მარტო რომ დავრჩი, გულნარას ნაამბობი ჩავიწერე. აი, ის ჩანაწერი: „სამედიცინო ტექნიკუმში სწავლისას ერთი ახალგაზრდა გადამეკიდა, „მიყვარხარო“... დაიწყო ომი. ფრონტზე წასვლის წინ მან ცოლობის პირობა მომთხოვა.

— მერე, გადავრჩებით? გვეღირსება ბედნიერების დღის დანიშვნა?

— გვეღირსება.

გამართლდა დავითის წინასწარმეტყველება.

ვიქორწინეთ.

ერთად ცხოვრებისას დავრწმუნდით, რომ საერთმანეთოდ არ ვიყავით დაბადებულნი.

სილამაზე ბუნებისაგან მონიჭებული მადლია და თითქოს იგი ბედნიერების ერთ-ერთ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ... რის ბედნიერება! ჩემი სილამაზე ჩემმა ქმარმა ეჭვისა და შფოთის წყაროდ აქცია, ამ სილამაზის მიზეზით არ მოისვენა და მე ხომ გაჩენის დღე მაწყევლინა! არა მგონია, ჩემი სილამაზე ამდენ აურზაურად ღირდეს; მაგრამ თუ მაინცადამაინც ლამაზ ქალად ჩავითვლები, მაშინ ბუნებას ჩემგან მადლობა ეკუთვნის და, პირიქით, სასაყვედურო კი გამიხდა.

ჩემმა ცდებმა და ღონისძიებებმა ნაყოფი ვერ გამოიღო — დავითი კაცურ-კაცობის სიმაღლეზე ვერ დავაყენე.

ერთადერთი ბავშვი გვყავს მე და დავითს. ვერ ვიტყვი, შვილი ძულდა-მეთქი. მაგრამ იგრძნობოდა მისი გულგრილი, უალერსო დამოკიდებულება შვილთან. ერთ ღამეს ბავშვს უგუნებობა შევატყვე, მაღალი სიცხეც მისცა. შევშინდი. დავითი ექიმის მოსაყვანად გავუშვი. მაგრამ ექიმი შინ არ აღმოჩნდა. გაჭირვებაში ჩავარდნილს მეძნელებოდა მეზობელი ექიმის სახელის ხსენება, რადგან ქმარი მასზედაც ეჭვიანობდა.

— ადექი, მანქანა იშოვე, ბავშვი საავადმყოფოში წამაყვანინე! — ვუთხარი დავითს.

— ახლა, ამ ღამეში სად გავაჩინო მანქანა?

— მაშ, წადი, ვახტანგი მოიყვანე! — და ჩემს ხმაში, გამოხედვაში ბრძანებაც ჩავაქსოვე და მუდარაც.

— მე მასთან წამსვლელი არა ვარ! — მივიღე გადაჭრილი პასუხი.

— შენ თუ არ წახვალ, მე წავალ! — ვთქვი და წასასვლელად გავემზადე.

— რა თქმა უნდა, საყვარელთან წასვლა სასიამოვნოა.

თავი შევიკავე, არაფერი ვთქვი, გარეთ გამოვვარდი. იმ ღამეს ყველაფერი ჯოჯოხეთურად აეწყო: ის იყო მივედი, რომ ექიმი სახლიდან გამოვიდა.

— ექიმო, შენი ჭირიმე, მიშველე რამე! — შევევედრე მას.

— აქ, ახლო, ერთ ოჯახში უნდა მივიდე, იქიდან პირდაპირ თქვენსას წამოვალ.

რა მექნა? მეც თან გავყევი.

თურმე დავითს ბავშვი მარტო დაეტოვებია, ფარულად დამდევნებოდა, შორი-ახლოდან ჩემს პატიოსნებას ამოწმებდა. მალე მე და ექიმი სახლისაკენ გავეშურეთ. დავითი წინ გადაგვიდგა, შეგვაჩერა, და... უცებ ვიგრძენი, როგორ გამარტყა ვეება ხელი. სწრაფად მოვედი გონს და ვახტანგს მივეშველე... მხოლოდ კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ მივაღწიეთ შინ. ჩვენმა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო და ბავშვი გადამირჩა, მაგრამ ამის მერე მივატოვე სოფელიცა და დავითიც. ძნელია მარტო ცხოვრება, მაგრამ



ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესიაზე მარცხნიდან მარჯვნივ: ჰერტა კუუსინენი, ვალენტინა ნიკოლაევა — ტერეშკოვა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ახალი მდივანი ფანი ედელმანი (არგენტინა).

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მხატვრის

თბილისის სათამაშოების მუზეუმს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც კარგად იცნობენ, რადგან იშვიათია, რომ თბილისის სტუმართათვის არ შეეთავაზებინოთ ამ პატარა, მაგრამ საოცარი სათამაშოების ნახვა. სათამაშოების მუზეუმი 1937 წელს დააარსა თინათინ თუმანიშვილმა. მუზეუმის თვითმყოფადობას, მისი თავისებური სტილის ჩამოყალიბებას უთუოდ შეუწყო ხელი მხატვარი ნინო ბრაილაშვილის შემოქმედებამ. ჯერ კიდევ 1937 წელს, მხატვრის პირველმა ნამუშევარმა, ხის თოჯინამ — „მანანამ" საკავშირო კონკურსზე პრემია მიიღო. ეს იყო ქართული თოჯინის პირველი გამოსვლა, მხატვრის ნიჭის პირველი აღიარება და, მასთან ერთად, ამ პატარა მუზეუმის უდიდესი წარმატების დასაწყისი.

ქართული თოჯინა, ქართული სათამაშო — საქართველოს გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი ახალი დარგია და მისი დამფუძნებელი სწორედ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნინო ბრაილაშვილი გახლავთ. იგი მრავალმხრივი ნიჭისა და ფართო შემოქმედებითი დიაპაზონის მხატვარია. ნახატისადმი თავისებური მიდგომა, საკუთარი, ფრიად ორიგინალური ხელწერა, ცოცხალი და მდიდარი ფანტაზია და უაღრესად დახვეწილი, ფაქიზი გემოვნებაა დამახასიათებელი ამ ოსტატისათვის, რომელსაც იცნობენ, როგორც მხატვარ-გრაფიკოსს, საბავშვო წიგნების ილუსტრატორს, ხესა და ლინოლეუმზე გრავიურების ავტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და სახელმწიფო მუზეუმის ნაბეჭდი პუბლიკაციების გამფორმებელს და მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპოზიციების მომწყობს. მაგრამ ნინო ბრაილაშვილის შემოქმედებაში იმთავითვე დიდი ადგილი ეჭირა დეკორაციულ გამოყენებით ხელოვნებას — კერამიკა იყო ეს, თუ ჭედურობა, ინტერიერის გაფორმება თუ მხატვრული სათამაშოს ჟანრი.

მაგრამ მხატვრულ სათამაშოს მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მხატვრის შემოქმედებაში. შეუძლებელია ამ პატარა ნარკვევში დაწვრილებით ჩამოთვალო ყველა სათამაშო, რაც ნინო ბრაილაშვილს შეუქმნია ამ ოცდაათი წლის განმავლობაში. მათი რიცხვი ძალიან დიდია, ხოლო გამოყენებული მასალა ისევე, როგორც ჟანრი და სტილი, რომლებსაც მიმართავს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ოსტატი, უაღრესად მრავალფეროვანია. მხატვრის ფანტაზია და გამომგონებლობის უნარი მართლაც რომ დაუშრეტელია, თუმცა კი ყველა სათამაშოსათვის დამახასიათებელია ეროვნული იერი, ხასიათი და სინატიფე, შესრულების მაღალი ხარისხი და კოსტიუმების ფერთა დახვეწილობა.

პირველი თოჯინა — „მანანა" მე-10 საუკუნის ქართველი ქალების ფერწერული პორტრეტების შთაბეჭდილებითაა შექმნილი, მისი ვარიანტებია — „რუსუდანი", „ჟუჟუნა", „ნესტანი" და „ეკა".

თოჯინები ხისაა, მათი სხეულები დიდი სიფაქიზითა და გულისხმიერებით არის დამუშავებული. კორპუსები თავდაპირველად „ითლებოდა" სახარატო დაზგაზე, შემდეგ კი მხატვარი ამუშავებდა პატარა დანით. როგორც საერთოდ ქანდაკებისთვისაა დამახასიათებელი, ეს თოჯინები ყოველი მხრიდან ერთნაირად ადვილი და კარგი აღსაქმელია. მათი შემკვრელი პლასტიკური ხაზი უწყვეტია, ხოლო კონტური გრაფიკულად მკვეთრი, ჟესტები — მოქნილი და ნარნარი.

ხეს, როგორც მასალას, შეთავსებულს ქსოვილსა და მავთულის ჩონჩხთან, თოჯინის შესაქმნელად მხატვარი შემდგომშიც იყენებს: პატარა თოჯინები „გოგია და ნიკო", მოზრდილი მარიონეტი „რეზო", „მგელიკა და გელა" ხევსური და გურული, რომელთა ტიპიურობა, ჟესტი, ბიჭური აღნაგობა, კოსტიუმის განხორციელებაში დაცული ზომიერება — საშუალებას გვაძლევს თოჯინები ქართული ეროვნული სათამაშოს შესანიშნავ მაგალითად მივიჩნიოთ.

ნ. ბრაილაშვილის ნამუშევრები ფაქტიურად ფერადსა და რბილ სკულპტურას წარმოადგენს, რომელიც მარტო ხისაგან კი არა, არამედ მხატვრის მიერ გამოყენებული მრავალფეროვანი მასალისაგან იქმნება. ეს განსაკუთრებულ გემოვნებასა და მხატვრულ თვალს საჭიროებს, რათა ნაწარმოების პლასტიკური და მხატვრული დახასიათება ჰქმნიდეს ერთიან მთლიანს, რომ ფერი ჰარმონიულად ერწყმოდეს მოცულობას.

მასალით ნაკარნახევ მიდგომათა თავისებურებებსა და მხატვრის დაუშრეტელ ფანტაზიას მოწმობენ რბილი თოჯინები — „ია" და ხევსურები — „მზექალა და ზეზვა". თოჯინების სერიები — „ქართული ხალხური თოჯინა" ხალხური ხელოვნების ნიმუშების ბრმა გადმოღებას კი არ წარმოადგენს, არამედ მათ შემოქმედებითად ათვისებას მოწმობს. ხელოვნური ნაძვის ხე და სათამაშოების სერია, გაკეთებული წაბლისა და კაკლისაგან, ნაქსოვი სათამაშოები — თოჯინების თეატრისათვის, თოვლის ბაბუას კოსტიუმი და ნიღაბი საახალწლო ინსცენირებისათვის, სათამაშოები აბრეშუმის ჭიის პარკისა და კორპისაგან. ლუფისაგან და ბოლოს — მწვანე კვახისაგან. ამ უკანასკნელი სერიიდან თოჯინა „კვახურა" მხატვრის მიერ შექმნილი წიგნის მთავარ პერსონაჟად იქცა და მის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევარს წარმოადგენს.

მალე მხატვრის წინაშე წამოიჭრა საკითხი იმ თოჯინების მასობრივად დამზადებისა, რომელთაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს და ხელოვნების უნიკალურ ნაწარმოებს წარმოადგენენ. ამან განაპირობა ის, რომ ნ. ბრაილაშვილი თავის საყვარელ ხეს „ღალატობს", რადგან ძნელად დასამუშავებელია და ყოველი ცალკეული ნამუშევრისათვის დიდ შრომასა და უშუალოდ მხატვრის ხელსა და თვალს მოითხოვს. წარმოებაში გადასული მოდელი კი, პირველ ყოვლისა, მასობრივი წარმოების უმარტივეს ხერხებს საჭიროებს. ნ. ბრაილაშვილმა მოდელის ცალკეულ ნაწილთა დაწნეხვის საშუალებით მიღება შეარჩია. ახალი მასალის ათვისებამ შესაძლებლობა მისცა მხატვარს შეექმნა ეგრეთწოდებული ეთნოგრაფული თოჯინების სერია, რომლებიც ძირითადად საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ ექსპონირებისათვის იყო გათვალისწინებული. ეს თოჯინები მხატვრული ტაქტის მაგალითს წარმოადგენს, რომლის წყალობით დამახასიათებელ თავისებურებათა სწორი და გულისხმიერი გადმოცემა არ ნთქავს,

# ხელით



არ სპობს სათამაშოს ბუნებას, მის არსს.

თანამედროვე სათამაშოს შესაქმნელად ნ. ბრაილაშვილი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა ნაპოვნით, არასოდეს არ ჩერდებოდა მიღწეულზე. სწორედ ამიტომაა ესოდენ მრავალფეროვანი და საინტერესო მის შემოქმედებაში გამოყენებული ხე, ქსოვილი, ტრიკოტაჟი, ხმელი გოგრა, ლუფა, კორპი, აბრეშუმის ჭიის პარკი, წაბლი, ქაღალდი და ბოლოს — პოროლონი; ყოველ მათგანში დასმულია ახალი ამოცანა და მოცემულია მისი მაქსიმალური გადაწყვეტა. მხატვრის ერთ-ერთ გატაცებად ბოლო წლებში ახალი სინთეტური მასალა პოროლონი იქცა. პოროლონი — ადვილად დასაჭრელი, რბილი და დრეკადი, ელასტური და ამავე დროს ფერის მშვენივრად შემთვისებელი, — უამრავ შესაძლებლობებს შეიცავს დასამუშავებლად, რომლებიც თითქმის მთლიანად გამოიყენა ოსტატმა. პოროლონისგან დაამზადა მხატვარმა მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების პერსონაჟები.

ნ. ბრაილაშვილის ბოლო ნამუშევარი — „ნაძვის ხე“ გონებამახვილობისა და გემოვნების ოსტატურ შენაზავს წარმოადგენს. ნაძვის ხე, რომელიც ფაქტიურად არც კი არსებობს, შედგება ერთიმეორეზე გადაბმული მავთულის შრეებისაგან, რომლებიც „ხის“ საფუძვლისაკენ დიდდება. იგი მორთულია ელექტრონათურებით, ხილ-ტკბილეულით. ბატიბუტით, რძის ბოთლების სახურავებისაგან დამზადებული (მათზე მხატვარს სხვადასხვა ორნამენტი აქვს დატანებული) ფერადი გირლიანდებით. გამჭვირვალე, მსუბუქი, ელვარე და მოძრავი (იგი ბრუნავს საკუთარი ღერძის გარშემო) „ნაძვის ხე“ საოცრად ეფექტურია და, რაც მთავარია, ძალზე მოსახერხებელია, როცა ნამდვილი ნაძვი საახალწლოდ არა აქვთ.

ნინო ბრაილაშვილის თოჯინები უბრალო სათამაშოები კი არ არის, პატარებსაც რომ უყვართ და უფროსებიც აღტაცებაში მოჰყავთ, ეს არის ხელოვნება, რომელიც მოწოდებულია გაამშვენიეროს ჩვენი ყოფა.

კიტი მაჩაბელი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.





ეროვნული
ბიბლიოთეკა









ნინო ბრაილაშვილის ნამუშევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითისთანა ადამიანთან ცხოვრებას მარტოსულობა ჯობია".

სიბრალულის გრძნობით გავიმსჭვალე. სანუგეშო სიტყვა ძლივს მოვახერხე.

ორ-სამ დღეს გულნარა აღარ გამოჩნდა, მითხრეს, პალატაში ზის და წიგნს კითხულობსო. უმისობა მტანჯავდა და შევუთვალე:

— მე, თამარი ბუხუტი და ნინო სასეირნოდ მივდივართ, არ წამოხვალ?

წავედით, ბევრი ვიარეთ, კარგადაც დავიღალეთ. გულნარა სულ ჩემს გვერდით ვატარე, არავის არ დავანებე, ყველა სურვილს მე ვუსრულებდი, სხვას ხელიდან ვტაცებდი მისთვის სამსახურის გაწევის შემთხვევას.

უკან დაბრუნებისას გულნარას ნაცნობი კაცი შეხვდა, ქალმა იგი ტკბილად მოიკითხა და მასთან კარგახანს შეყოვნდა.

გავგულისდი. ქალი გვიან შემოგვიერთდა. მაშინვე ვკითხე:

— ვინ იყო, ასე დიდხანს რომ გაუბი ლაპარაკი?

— შენ რაღაც ნაწყენი ჩანხარ!.. მავალდებულებ ანგარიშის ჩაბარებას?

იმ ღამეს სულ გულნარაზე ვფიქრობდი, დილაბნელზე გარეთ, სუფთა ჰაერზე გამოვედი, განმარტოებით დავჯექი და ლოდინი დავიწყე, ვიფიქრე: საუზმეზე ჩამოვა და შევხვდები-მეთქი. საუზმის ჟამიც მიიწურა, იგი კი არ ჩანდა. არც მე ვისურვე სასაუზმოდ შევსულიყავი, ცოტა ხნით სახეტიალოდ წავედი, ერთი საათის მერე მშვენიერი თაიგულით დავბრუნდი. მოვნახე ადგილი, რომელსაც გულნარა ეზოში ჩამოსვლისას არ გასცდებოდა. ვიცდიდი, ლოდინმა დამქანცა, მისი პალატის დამლაგებელმა ქალმა მკითხა:

— ვის ელოდები ამდენხანს?

— შენც იცი, ვისაც ველოდები.

— ის ხომ წავიდა!

— წავიდა?

— კი, წავიდა.

— როდის?

— სანამ შენ დაბრუნდებოდი.

რამდენიმე წუთის წინ... რამხელა მნიშვნელობა ჰქონია ზოგჯერ წუთებს!

წამოვდექი, დაძაბულობა, უსაზღვრო წყენა ვიგრძენი, თაიგული ფეხებთან მეგდო, ვერც კი გავიგე, როდის დავარდა. გამახსენდა სიმონის გაფრთხილება.

— რა იყო, რა დაგემართა! იყო და არა იყო-რა! — თქვა დამლაგებელმა და გაიარა.

„ის ჩემში იყო, ჩემშივე დარჩა", — გავიფიქრე დამლაგებლის პასუხად და ცრემლები გადმომცვივდა. მაგრამ, ღმერთმანი, არა მრცხვენოდა იმ ცრემლებისა.

— რატომ წავიდა? რატომ მიმატოვა? — ვეკითხებოდი ჩემს თავს და მევე ვპასუხობდი:

— იმიტომ რომ ჩემში მეორე დავითი შეიცნო.

ვინ იცის, იქნებ, არც ცდებოდა გულნარა!

მარი აბრამიშვილი

## შემოდგომის სუფრა

მე შემოდგომა
მაგონებს მამას
სტუმართმოყვარეს, ახოვანს, ლამაზს.
გულუხვი, ბრძენი და გონიერი —
მე შემოდგომა მაგონებს მამას.

მამას ვაჟკაცურს, გაშლილ მხრებიანს —
ქვეყნის მოვლაში, ხვნაში თუ მკაში
სიყვარული რომ დაღვინებია
და არხეინად ზის სუფრის თავში.

გულადს და პურადს,
ამაყს და მამაცს —
მე შემოდგომა მაგონებს მამას.

მე შემოდგომა
მაგონებს დედას,
— კალთასავსეს და გულსავსე დედას,
— ძალადაკარგულ მზის ბრწყინვალებით
სუფრის თავში მჯდომს რომ გადახედავს.

ის გაზაფხული იყო გუშინწინ
და სიყვარულის ტკბილი ბადაგი,
— იმ სიყვარულში ნაწნავ-ნადაგი
ახლა ფელამუშს არიგებს დედა.

და არავინ წუხს, არავინ ეძებს
მისი წარბების გაფრენილ მერცხლებს.

ჩუმი ნაღველი გაძარცულ ხეთა —
მე შემოდგომა მაგონებს დედას.

მშვიდად, გულმშვიდად ელიან ზამთარს
დედა და მამა, დედა და მამა
და, დარეკილი ხეების მსგავსად,
კვლავ გაზაფხულის იმედით დგანან.
და... ისე მიყვარს მე შემოდგომა

* * *

განა შენც არ ათევდი
ვარსკვლავიან ღამეს?
განა შენც არ უმღერდი
საოცნებო მხარეს?
განა შენც არ გესმოდა
ამ ფოთლების ენა?
განა შენც არ ბაძავდი
ბულბულების სტვენას?
განა შენც არ უვლიდი
ყვავილს, გულში ჩარგულს?
განა შენც არ უყვარდი
ცისფერთვალა ჭაბუკს?
განა შენც არ გიყვარდა
სიყვარულით წრფელით,
განა არ მოგიღერა
შენც სიკვდილმა ცელი?
განა შენც არ იცოდი
ტანჯვა უმძიმესი,
სიხარული, სილაღე —
ლექსი, მხოლოდ ლექსი?
განა შენც არ აშენე?
განა შენც არ ზარდე?
მაშ, ეს სახლი ვისია
აზიდული ცამდე?
განა შენც ამ მიწაზე
არ დადიხარ ლაღი?
მაშ ეს ბაღი ვისია,
დაქარგული ბაღი?
შენი სუნთქვაც ხომ არის
შენ რომ ეტრფი, ის ცა?
ხომ ერქმევა შენს საფლავს
საქართველოს მიწა?
ხომ კმაროდა შენთვისაც
სიტყვა სულის ხემსად?
დღესაც ხომ გაქვს ყოველი,
ხომ მღერიხარ დღესაც?
აბა რაღას მემდური,
უმადურო დაო,
ჩემო მკაცრო, დიდგულავ —
საკუთარო თავო?

მურმან ჯგუბურია

* * *

მეჩხერი ტყეა და გარშემო ტრიალი ველი...
რა უხმაუროდ მიილია ზამთარი გრძელი!
რა შეუმჩნევლად შემოვიდა ქვეყნად სიმწვანე —
დამევსო თვალი, რანაირად ვეღარ გიცანი!
კორომი ტყეა და გარშემო ველია ტურფა, —
როცა ბალიშზე მიხატული მგონია თუთა.

* * *

ხეთა შტოებზე დასხდებიან წვრილი ფოთლები,
დღე ერთი არი და ათასგზის მომაგონდები.
ვით წვიმის მერე მოციმციმე ხეზე კვირტები,
ისე სუფთაა და კამკამა ჩემი ფიქრები.
ღამე სიზმარი მესიზმრება მე გამხარისი,
ალბათ გახსოვარ და გიყვარვარ მე საბრალისი,
ცოტა ხანს ნუღარ მომიგონებ, გემუდარები,
ცოტა ხანს ნუღარ. მიიხურე ნელა კარები.

ოლეგ გველესიანი

## უნდა წამომყვე ჩემს იმერეთში

მივუახლოვდი უკვე საჩვენოს,
მზის შუქი იწვის ვარდისფერეთში...
ჩემი ვარდები უნდა გაჩვენო,
უნდა წამომყვე ჩემს იმერეთში.

გადარეული ვნახოთ უვირილა,
შენს რძლობას ვიცი, რომ შეიფერებს,
მთებში დავკარგოთ ლურჯი გვირილა,
ხევში გავხედოთ ჩანისლულ შქმერებს.

როგორ გრიალებს თეთრი ჩანჩქერი,
ათინათების თეთრ სიმღერებში...
სხვა არაფერი,
სხვა არაფერი,
უნდა წამომყვე ჩემს იმერეთში.

# გახარება

პალატაში ოთხნი ვიწექით: ტანმოვარჯიშე სპორტის ოსტატი, თამბაქოს ფაბრიკის მუშა, ერთ-ერთი პოლიკლინიკის ექიმი და მე, — ყველანი რადიკულიტს ვუჩიოდით. სპორტის ოსტატი საკაცით მოიყვანეს; საწოლზე რომ აწვენდნენ, ისე აყვირდა, მთელი საავადმყოფო ფეხზე დააყენა. მუშა ვერაფრით ვერ წვებოდა, რა დასამალია და... ოთხზე იდგა ერთთავად... არც ექიმი იყო კარგ დღეში; ჩემს დანახვაზე ხომ სიცილს ვერ იკავებდნენ, ისე ვიყავი მოღრეცილი, მაგრამ მე და ექიმი მაინც ჩვენი ფეხით დავდიოდით პროცედურებზე. იმ ორს კი პალატაში უტარებდნენ ელექტროფორეზის, ულტრაბგერისა და კვარცის სეანსებს; მასაჟისტიც იქ მოდიოდა.

დღის განრიგიდან ყველაზე მეტად ექიმთა შემოვლა გვიყვარდა. იმედითა და სასოებით ველოდით, როდის შემოვიდოდნენ თეთრი ხალათების ფრიალით და დინჯად გვაუწყებდნენ, სულ მალე კარგად იქნებითო. პალატის ექიმი ვალენტინა ბობროვა ყოველდღე ერთნაირი გულმოდგინებით გვსინჯავდა. მე აუცილებლად ფეხზე დამაყენებდა და გულშემოყრილი მეტყოდა:

— შენ ისევ მოკუზული ხარ?!

მერე თავს იმტვრევდა, რა უფრო მოგიხდებაო, და დანიშნულებებს უფრო ძლიერი, ეფექტური საშუალებებით სცვლიდა.

ორი კვირის შემდეგ სპორტის ოსტატს ტკივილებმა უკლო, მუშამაც უკეთესობა იგრძნო და ყველანი, რაკიღა მშვიდად გვეძინა, გავმხიარულდით. თანდათან იქაურ კერძებსაც მივეჩვიეთ: უკვე გვსიამოვნებდა კიდეც ნაირნაირი წვნიანი და ფაფა...

სალამოთი, ექიმები რომ წავიდ-წამოვიდოდნენ და ჩვენს, ასე ვთქვათ, საქმიანობასაც მოვათავებდით, დერეფანში ვიკრიბებოდით და უბოდიშოდ ვერეოდით საავადმყოფოს „შინაურ საქმეებში".

ვაქებდით და ვადიდებდით განყოფილებათა გამგეებს: თინათინ როსტომაშვილს, ოლღა ზანგურიძეს, მარგარიტა გაბელიას, ზაირა ტაგანაშვილს და გალინა ძამანაშვილს; უფროს მედდებს — ეთერ ჩიკვაიძესა და მაყვალა ჯანიაშვილს, ცაცა არჩვაძესა და ანა მეგრელიშვილს; მასაჟისტს — ლუბა თევზაძეს... თქვენ წარმოიდგინეთ, არც სანიტრები გვავიწყდებოდა, ახლა კი, სამწუხაროდ, ვეღარ გამიხსენებია მათი გვარები.

ქებას ზოგჯერ ხაყვედურიც გამოერეოდა ხოლმე; ერთ ახალგაზრდა მედდას ვემდუროდით, იმ მედდას, მუდამ გამზადებული შპრიცი რომ მოჰქონდა სამანიპულაციო ოთახიდან. ვიდრე ჩვენს პალატაში შემოვიდოდა, ორი ტალანი უნდა გამოევლო ასე გაშიშვლებული ნემსით. ვინ იცის, ნემსს გზაში რამდენი ბაცილა დაეტაკაო, — ვითომ ვხუმრობდით ზოგიერთები. საერთოდ, ავადმყოფთა შთაბეჭდილებები სუბიექტურია, აქედან: გულწრფელიც. ისინი ხომ ბავშვებივით არიან, — შენი საქმის როგორი მცოდნეც არ უნდა იყო, მცირე უტაქტობასაც კი არ გაპატიებენ.

თანდათანობით ისე მივეჩვიეთ იქაურობას, მიუხედავად იმისა, რომ თავს უკვე ჩინებულად ვგრძნობდით, სახლებში წასვლა აღარც კი გვაგონდებოდა.

ერთ დღეს, მეზობელი პალატიდან ავადმყოფი გაწერეს. მხატვარი იყო, მენისკი ჰქონდა დაზიანებული და ვერ დადიოდა. მაგრამ მკურნალს — თინა როსტომაშვილს თავი გადაედო და მისი გამოცდილებისა და გულმოდგინების ნაყოფი იყო, რომ შედარებით მოკლე დროში, ავადმყოფი ჯოხით, მაგრამ უკვე დადიოდა. ყველამ გავაცილეთ კარებამდე, რაკი სიჯანსაღე დაუბრუნდა, სიხარულის დაფარვასაც ვეღარ ახერხებდა. ყველას წუხილი მოგვეძალა, ჩვენი დარჩენით კი არა, მისი წასვლით გამოწვეული წუხილი.

მეორე დღეს მხატვარი ისევ მოვიდა და წითელი ვარდები მოგვიტანა, თვალი მოგვავლო და უსიტყვოდ ჩაალაგა გრაფინში. საოცარია: უცბად დავღონდით ყველანი. ახლაღა დავუფიქრდით, თბილისში მაისის ბრწყინვალება რომ იდგა და ამ პალატის იქით ლამაზი და ხალისიანი ცხოვრება იყო. ჩვენ კი იძულებულნი ვიყავით, ვიღაც-ვიღაცეების სახლის ყრუ კედლებისა და სახურავების ყურებით „დავმტკბარიყავით", რადგან პალატიდან მეტი არაფერი ჩანდა.

— აყვავებული ქალაქი ნახა, შეგვიცოდა და იმიტომ მოგვიტანა ვარდები, — აქ რომ მოვედით მაშინ გაზაფხულს, გაზაფხული სახელად ერქვა მარტო.

მეორე დილით ერთბაშად სამმა ითხოვა საავადმყოფოდან გაწერა. მკურნალი ექიმი გაოცდა, აქამდე არც ერთს არ გინდოდათ წასვლა, ახლა რა მოგეჩვენათო.

— აი, პატარა ბაღი მაინც რომ ჰქონდეს საავადმყოფოს, თუნდაც სულ პატარა ყვავილნარი, ხანდახან იქ მაინც ჩავიდოდით. სული ამოგვხდა შიშველი კედლების ყურებით, თანაც მკურნალობა თითქმის უკვე

შემოქმედის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა



ექიმი ვ. ბაბროვა ავადმყოფთან

ჩავათავეთ, — ყველას მაგივრად უთხრა სპორტსმენმა.

— მოუნდათ ახლა ამათ აგარაკი, — ღიმილით თქვა ექიმმა, მერე სერიოზულად დაუმატა, — თუ ვინმეს სურს, კურორტოლოგიის ინსტიტუტის წყალტუბოსა და სოხუმის ფილიალებში შეგვიძლია გაგაგზავნოთ, საგზურები უფასოა...

ჩვენ აღტაცება გამოვთქვით და რამდენიმემ მართლაც ისარგებლა ამ სიკეთით...

ამ წერილს რომ ვწერდი, შემთხვევით მომხვდა ხელში გაზეთ „კომუნისტის" ერთ-ერთი ძველი ნომერი. ყურადღება მივაქციე რუბრიკას — „იქ, სადაც მედიცინა ბიზნესია". სტატიაში ეწერა: „ჩიკაგოს მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ პარკ-ფორისტის ადგილობრივი გაზეთის „რეპორტიორის" თანამშრომელმა ნიკი სკოტმა ექვს ესკულაპს დაურეკა, ჩემს ბავშვს ყური სტკივაო. ოთხმა უპასუხა, არავითარი საშუალება არა მაქვს გამოვყო დრო პირველადი პაციენტის სანახავადო. ორმა „ადამიანურობა" გამოიჩინა: მივიღებთ ავადმყოფს, ოღონდ დღეს ვერაო. ერთხელ თვით ნიკი სკოტმა იგრძნო თავი შეუძლოდ. მთელი კვირა ცდილობდა რომელიმე ექიმი „შეეტყუებინა" თავის სახლში, მაგრამ ვერაფერს მიაღწია". ეს უკვე ხელმოკლეობის ბრალია იმ სამყაროში. მან მხოლოდ იმიტომ ვერ „შეიტყუა" სახლში ექიმი, რომ სათანადო გასამრჯელოს ვერ გადაიხდიდა. ჩვენ კი მოგვიარეს, მოგვარჩინეს და... სამკურნალო წყლებზეც კი გაგვაგზავნეს უსასყიდლოდ. დაუდევრობის ამბავია თუ სხვა რამ, სამწუხაროდ, იების ერთი კონაც კი ვერ მივართვი ჩემს მკურნალ ექიმს.

მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, და აი, წერილის დაწერა დამავალეს ამ საავადმყოფოზე.

...თბილისის ფიზიო-თერაპიული საავადმყოფო: ისევ ის არატიპიური, შეუფერებელი შენობა. გადატვირთული, მაგრამ გაკრიალებული პალატები და დერეფნები. იგივე მომსახურე პერსონალი — გულისხმიერი და კეთილი ხალხი. იგივე ულიმღამო გადასახედი. და... კიდევ უფრო უკეთესად მოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები.

ამჯერად პაციენტად კი არა, კორესპონდენტად მოვევლინე ნაცნობებს. მინდა კრიტიკული თვალით შევხედო ყველაფერს, მაგრამ ნამდვილად მომწონს აქაურობა; რა დასამალია, და მშობლიურიც კი მეჩვენება იგი.



ქირურგი-ორთოპედი
თინათინ როსტომაშვილი

პირველ სართულზე ავადმყოფებს ამბულატორიულ მკურნალობას უტარებენ. აქ მუდამ რიგი არის. პოლიკლინიკური განყოფილების გამგე ნინო მაისაია თადარიგიანი ხელმძღვანელია, მაგრამ რას იზამს, ავადმყოფი ბევრია. სტაციონარში დაწვენაზეც მოცდაა საჭირო; ჯერ ავადმყოფი არ გაუწერიათ და უკვე იციან, მის ადგილზე ვინ უნდა დააწვინონ. საავადმყოფო პატარაა და ფართო კონტიგენტს კი ემსახურება: პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის, პოლიართრიტების, სახსრების პოდაგრული დაავადებების, მოტეხილობათა შემდგომი გართულებების, თრომბოფლებიტების, ვენების გაგანიერების, მაობლიტირებელი ენდარტერიტების და, ვინ იცის, კიდევ რის სამკურნალოდ არ მოდიან აქ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები.

აქ მოუსვლელადაც შეიძლებოდა წერილის დაწერა, ისე კარგად ვიცნობ მთელი საავადმყოფოს სპეციფიკას და მის კუთხე-კუნჭულს, მაგრამ სიახლეები?! მეცნიერებისა და ტექნიკის საუკუნეში წლებს კი არა და, დღეებსაც აქვთ მნიშვნელობა...

და საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის მთავარი ფიზიო-თერაპევტი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი — ვიქტორ გურაშვილი ჩემს შთაბეჭდილებებს უმატებს: — ინტენსიურად ვაწარმოებთ იმპულსურ თერაპიას, რისთვისაც ვიყენებთ აპარატ „ამპლიპულს—8T“, ეს ერთგვარი სუსტი გამღიზიანებელია და საუკეთესო ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად ითვლება. ამავე მიზნით ვხმარობთ აპარატებს: „სხივი—58“, „სხივი—2“ და ულტრაბგერას.

შემდეგ: ხერხემლის ოსტეოხონდროზის დროს, როდესაც მას თან ახლავს რადიკულიარული გამოვლინებები, დაავადების ქვემწვავე და ქრონიკულ სტადიაში ვახდენთ ხერხემლის მალების დაჭიმვას, როგორც მშრალი მეთოდით, ისე — წყალქვეშ. ხოლო ე. წ. კოქსართროზების დროს კი ავადმყოფს ვჭიმავთ საწოლზე, რისთვისაც ხის დაფასა და სპეციალურ ბლოკებს ვიყენებთ...

და კიდევ: — უკანასკნელ ხანს, სითბურ პროცესებს დავუმატეთ ახალი საშუალება— ოზოკერიტით მკურნალობა; იგი ნავთობის პროდუქტია, დიდ სითბოს გამოყოფს და განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როცა პარაფინთან ერთად ვიყენებთ...

მთავარი ექიმი საინტერესო საკითხზე— მკურნალობის სიახლეებზე ლაპარაკობს და ვცდილობ, საუბრიდან არ გადაუხვიოს, მან კი მოულოდნელად მკითხა:

— თქვენ ჩვენთან ხომ არ მკურნალობდით?

რომ ვუთხარი, დიდი ხნის წინ-მეთქი, დაუმატა:

— მარცხენა ფეხზე ვერ ჩერდებოდით, გვერდზე იყავით გადახრილი...

არ შეიძლება ვინმეს ესიამოვნოს ასეთი მდგომარეობის გახსენება. მაგრამ, როცა უკვე სავსებით ჯანმრთელი ხარ და, გაგიხსენებენ ერთ-ერთ რიგით ავადმყოფად, რომელსაც, რომ იტყვიან, არავითარი განსაკუთრებული „გულშემატკივრები“ არა ჰყოლია, ამ გახსენებას სხვა ფასი აქვს...

— მაშინ დიპლომზე ვმუშაობდი და დროზე იმიტომ ვერ დავწექი საავადმყოფოში, მაგრამ „ჭირმა თავი არ დამალა“... — ვთქვი თავის გასამართლებლად, თორემ სინამდვილეში ჭირის დღესავით მძულდა საავადმყოფო და ყოველნაირად ვცდილობდი თავიდან ამეცილებინა ეს „უსიამოვნება“.

ჭეშმარიტ სამკურნალო დაწესებულებაზე შენი აზრი რომ იქონიო, ღმერთმა ყველას გაშოროთ, მაგრამ, უნდა დაგჭირდეს იგი, უნდა იცხოვრო მისი ცხოვრებით, შეიცნო მისი ბევრისმოქმედი ძალა, თორემ სხვანაირად ვერ გაიგებ: ავადმყოფებს რანაირად უქმნიან მშვიდ, კეთილგანწყობილ გარემოს აქ მომუშავე ადამიანები. სიცხითა თუ ტკივილით გათანგულებს არასოდეს აგრძნობინებენ საკუთარ ტკივილს, დაღლილობას, უსიამოვნო შეგრძნებას. მით უმეტეს, ავადმყოფობამ რანგი და ტიტული არ იცის,— ხშირად ექიმი ავადმყოფზე უარეს დღეშიც ყოფილა, მაგრამ ეს თითქოს არაფერი, — ასე გვეჩვენება შორიდან და, მიუხედავად ამისა, ვამბობთ ხოლმე: ეს ჩვეულებრივი შრომაა საბჭოთა მკურნალისა, უბრალო მოქალაქეობრივი ვალია, რასაც ადამიანურს ვეძახით, და ამით ყოველგვარ სიკეთეს ერთბაშად, ერთ სიტყვაში ვაქცევთ.

ნინო ახალკაცი

# პატარებისათვის

## გამოცანა

ცალ ფეხზე ვარ დამდგარი,
არ მჭირდება საყრდენი,
თავზე ქუდი მახურავს,
ჩემზე დიდი რამდენით!

(სოკო)

## აბანავეს თოჯინა

საბანაოდ მიიყვანა
წყალთან, იზამ თოჯინა,
განა ტირის თოჯინა,
დინჯად არის, მორჩილად.

იზამ გახსნა ონკანი,
მოდის წყალი ჩხრიალით.
ლიამ მოსახმარებლად
მოირბინა ცქრიალით.

აბანავეს თოჯინა,
თვითონ უფრო დასველდნენ,
დააბრალეს ერთმანეთს,
იჩხუბეს და გაშველდნენ.

ნუნუ ლალიძე

## შარადები

1

ჯერ გაიხსენე მზისფერი
თივის ბულული ვეება;
მერე ზღვაში რომ გუგუნებს,
და ტალღებს ჯიქურ შეება.
ჩაუსვი პირველს შუაში
ამ სიტყვის წინა მარცვალი, —
წყლის ცხოველია ვერაგი
მითხარ, სახელი რაც არი.

(ზვინი + გე = ზვიგენი)

2

ლობიომ შემოახვია
ტანზე ზურმუხტის ზონარი, —
ის ბგერა უნდა მოაკლო,
სიტყვის ბოლოში რომ არი.
ხოლო დაბლობის მეორე
სახელწოდება რაც არი,
იქიდან გამოგვადგება
უკანასკნელი მარცვალი.
ჩვენი შარადის საგანი,
თუმც სულიერი არ არის,
გახლავს დიდის და პატარის
ყველაზე სწრაფი მხატვარი.

(სარ + კე = სარკე)

3

ორმოში ამოჩუხჩუხებს
წყალი ცივი და ანკარა,
მარტო იმ ორმოს სახელი
შარადისათვის არ კმარა,
მას ეკლიანი ბალახი
ბოლოს დაურთე, ყმაწვილო, —
იმ თევზს შენც უნდა შეექცე
და სხვასაც გაუნაწილო.

(ჭა + ნარი = ჭანარი)

შოთა ამირანაშვილი

# ქეთევან ირემაძე



ქეთევან ირემაძე
მხატვარი მანანა ბობოხიძე.

წელს იგი 60 წლისა უნდა გამხდარიყო. მაგრამ მისი ცხოვრების გზა ამ თარიღის შუაგულს შეჩერდა. 1945 წლის აგვისტოს თვეში, მრავალმა პატივისმცემელმა და მეგობარმა, მწერალმა და მეცნიერმა, ახალგაზრდობამ გულისტკივილით გააცილა ქეთევან ირემაძე, ქალი, რომელიც მწერლისა და კრიტიკოსის — გიორგი ნატროშვილის თქმისა არ იყოს, „ოცნებობდა ყოფილიყო მემატიანე ქართველი ქალის ქველობისა, სულიერი სისპეტაკისა, როგორც მზრუნველი ქალიშვილი მოხუც დედას. ისე გამოადგა ქეთევანი ძველი საქართველოს დედებს...“

ძვირფასო მკითხველებო, რედაქციამ გადაწყვიტა წიგნიდან „ქეთევან ირემაძე“ გამოებეჭდა მწერალ აკაკი გაწერელიას წერილი, და იოსებ ნონეშვილის ლექსი. ვფიქრობთ, ამით, ნაწილობრივ მაინც, შევასრულებთ ჩვენს ვალს ქეთევან ირემაძის მშვენიერი ხსოვნის წინაშე.

...იგი ყოველმხრივ ლამაზი იყო, ყოველმხრივ ფაქიზი.

არიან მცენარეები, რომელთაგან თეთრი ბუმბული გამოიყოფა. ნიავის ოდნავი დაქროლვაც საკმარისია, რომ ისინი ჰაერში გაიფანტონ. შემდეგ ძლივს ეშვებიან მიწაზე.

ჩვენს სინამდვილეში, ვფიქრობ, იგიც ძლივს ეშვებოდა თავის ოცნებათა და ალტაცებათა ქვეყნიდან. და როცა სიკვდილმა მოისურვა მისი მოწყვეტა ადგილიდან, ზოგს უკვირდა, რომ ეს სათუთი ბუნებისა და ალნაგობის ადამიანი დიდხანს გაუმკლავდა მესამეს — სიცოცხლესთან მის გამთიშავს.

ეს იმიტომ მოხდა, რომ ქეთევან ირემაძეს ძლიერი გული ჰქონდა. სიცოცხლის სიყვარულით სავსე ძლიერ გულს ეპირა მისი მეოცნებე არსება. ეს გული მეგობრების პატივისცემითა და სიყვარულით ფეთქდა და ქართველი მწერლების ოჯახმა მწვავედ განიცადა მასთან განშორება.

ქეთევან ირემაძეს გვარშივე ჰქონდა საკუთარი სიკოხტავის გამომხატველი სიტყვა; იგი ქართველი მწერალი ქალის სახელს ამშვენებდა: კარგი თვალები ჰქონდა ჰკვიან შუბლს ქვემოთ, . ნიჭი — მშვენიერ გარეგნობასთან ერთად. ამ ორ საჩუქარს ბუნება ჩვეულებრივ ძუნწად იმეტებს მოკვდავისათვის.

ქეთევან ირემაძემ კარგი ეტიუდები დაგვიტოვა ქართველ მწერალ ქალებზე — ბარბარე ჯორჯაძესა, ეკატერინე გაბაშვილსა და ნინო ორბელიანზე. თარგმანებში აცნობდა მკითხველებს რუს და ევროპელ ბელეტრისტებს, — ეს იყო კეთილშობილი საქმე, გემოვნებითა და პასუხისმგებლობით შესრულებული მის მიერ.

ქეთევან ირემაძე წერდა ისტორიულ რომანს ქეთევან წამებულზე. ეს დედოფალი თვითონვე იყო მწერალი-ქალი და ვიცით, რომ ირანში მას შანთებით დაუწვეს მკერდი.

მახსოვს, თუ როგორი მღელვარებით გვიკითხავდა მეგობრებს ქეთევან ირემაძე ნაწარმოების იმ ნაწილს, სადაც აღწერილია დედოფლის მისვლა დასჯის ადგილზე და მისი ლეგენდარული სიმტკიცე წამების ჟამს... ქეთევან ირემაძე თითქოს თვალით ხედავდა მას, თვითონაც განიცდიდა ისტორიული პერსონაჟის ტკივილებს.

შემდეგ, უკანასკნელ ხანებში, მე მახსოვს მეორე ქეთევან წამებული, ავტორი-დუბლიორი ისტორიული ქეთევანისა, აგრეთვე მწერალი ქალი და აგრეთვე მკერდდაშანთული, განსაცვიფრებელი სტოიკური გამძლეობით რომ იტანდა ტკივილებს.

ოდესლაც იგი თეთრ კაბაში გამოწყობილი გამოდიოდა თბილისის ქუჩებში: შემდეგ კი მთლიანად თეთრეულში იწვა ავადმყოფი, — იგი დაჭრილ გედს მიაგავდა.

და როცა წარმოვიდგენ, რომ მძიმე ავადმყოფობის ჟამსაც, სტუმრებთან მუდამ მომღიმარედ შემხვედრი ეს ახალგაზრდა ქალი თავისთვის, ყოველ წუთიერ ფიქრში, პირისპირ ეჩურჩულებოდა და ესაუბრებოდა ულმობელ ჯალათს, — აშკარა ხდება, თუ როგორი ტრაგიკული არტისტიზმით არის აღბეჭდილი სიცოცხლით სავსე და შესანიშნავი მომავლის მქონე მწერალი-ქალის მგზავრობა თავისივე გოლგოთამდე.

მოწიწებით ვხრი თავს იმ ადამიანის აჩრდილის წინაშე, რომელმაც მშვენიერ სახეზე უხმოდ ჩამოიფარა თეთრი პირბადე, ვითარცა პატიოსანი მანდილი ქართველი ქალისა, და ისე წავიდა ჩვენგან.

აკაკი გაწერელია

იოსებ ნონეშვილი

## ქეთევან ირემაძე

ეს გახსენება ახლა სულ სხვაა —
პროსპექტზე მოდის მაღალი ქალი.
ნეტავ ეს მისი მარაოს ხმაა,
თუ ნაღვლიანად შრიალებს ქარი?

ჭადრებზე მთვარის სინათლე ბრწყინავს,
შესჩერებიან ცას მოკრძალებით.
აქ სეირნობდნენ დიდი ხნის წინათ
ძველი ივერის ტურფა ქალებიც.

ქართულ კაბების იდგა შრიალი,
გულს ახარებდნენ გულის დამწველნი —
თვითონ მანანა ორბელიანი
და შემდეგ დანი ჭავჭავაძენი.

მათ ნატერფალზე ვინ მოდის ასე!..
შეხეთ, ნათლად ჩანს მის წყნარ თვალებში,
რომ მათი სული და სილამაზე
მარად ანთია ქართველ ქალებში.

...ეს გახსენება ახლა სულ სხვაა —
პროსპექტზე მოდის ლამაზი ქალი;
ნეტავ ეს მისი მარაოს ხმაა,
თუ ნაღვლიანად შრიალებს ქარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი ომგადახდილი ქალისა



მეორე მსოფლიო ომმა სამედიცინო ინსტიტუტის მერხზე მოუსწრო გუგული მანტკავას. ლექციები სამხედრო მეცადინეობამ შეცვალა, აუდიტორიები კი — ფრონტის ხაზმა. მალე სტუდენტი ქალიშვილი 224-ე დივიზიის სამედიცინო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი გახდა. გუგული მანტკავას საბრძოლო გზა ქერჩის ნახევარკუნძულიდან დაიწყო. სანიტარული ბატალიონი, რომელშიც გუგული იმყოფებოდა, ზღვისპირა გამოქვაბულში დაბანაკდა. დაჭრილების მოვლასთან ერთად გუგული და მისი თანამებრძოლები შაშხანებით იგერიებდნენ მოწინააღმდეგეს. 1942 წლის 7 მაისს გერმანელთა მორიგი იერიშის დროს გუგული მანტკავა დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა მტერს. მან წამების რამდენიმე ბანაკი მოიარა, ბევრი დამცირება, შიმშილი და გასაჭირი გადაიტანა. ერთხელ, როცა ფაშისტები ტყვეებს დასავლეთისაკენ მიერეკებოდნენ, გუგულიმ გაქცევა მოახერხა და ტყეს შეეფარა. ხეტიალისაგან ქანცგაწყვეტილს თავზე ქალი წამოადგა: — ღონე მოიკრიფე, ჩემთან წამოდი და სიცოცხლეს შეგინარჩუნებო, — უთხრა უცნობმა. ეს ქალი სოფელ სლავუტას მკვიდრი, პარტიზანების მფარველი სოფიო ვასილევსკაია აღმოჩნდა. მისი დახმარებით გუგული რამდენიმე დღის შემდეგ დაუკავშირდა პარტიზანთა ჯგუფს, რომელსაც ექიმი კაზეიჩუკი ხელმძღვანელობდა. კაზეიჩუკმა სოფელ ცვეტოხაში სამედიცინო პუნქტი გახსნა და პუნქტის გამგედ გუგული დანიშნა.

— ბევრი სამუშაო გვქონდა, ცალკე ავადმყოფების მკურნალობა და ცალკე პარტიზანული საბრძოლო დავალებების შესრულება, — იგონებს გუგული მანტკავა. — გვიჭირდა, არ გვყოფნიდა მედიკამენტები და წამლები. ავადმყოფებს სამკურნალო ბალახებით ვმკურნალობდით. ერთ დღეს პარტიზანულ შტაბში დამიძახეს და ახალი დავალება მომცეს. მტრის წინააღმდეგ დივერსიული მოქმედების გასაძლიერებლად საჭირო იყო ხალხთან კავშირი. ამიტომ ჩვენი პუნქტი მოემსახურებოდა სოფლებს: მიკოვეცის, ცვეტოხის, ტაშკისა და კამენკოს მოსახლეობას. უნდა გავცნობოდი ამ სოფლების მმართველებსა და მათ გერმანელ შეფს, შემესწავლა სოფლებში მისასვლელი გზები და ბილიკები, გამეგო რკინიგზის საბრძოლო იარაღების საწყობების ადგილმდებარეობა და დამეზუსტებინა მისი გერმანელი, უნგრელი და რუმინელი მცველების მორიგეობის განრიგი. გარდა ამისა, უნდა დავახლოვებოდი რკინიგზის პლატფორმის დისპეტჩერებს და შემეტყო ეშელონების ტყვიაწამლით დატვირთვა-გადმოტვირთვის დრო. ამ დავალებათა შესასრულებლად საჭირო იყო გავცნობოდი სოფლებში მოთარეშე გერმანელებს, რომლებიც თითქმის ყველა ოჯახში იყვნენ და მომეპოვებინა მათი ნდობა, მაგრამ როგორ? მათ ხომ უმკაცრესი რეჟიმი ჰქონდათ, სპეციალური საშვისა და მიმართვის გარეშე ახლობელ სოფელში წასვლა კი არა, იქვე, ტყეში გასვლაც კი არავის შეეძლო.

დავალების მიღებიდან ერთი კვირა გავიდა, მე კი ვერაფერი მოვახერხე, მაგრამ აი, შევიტყვე, რომ სოფელ ცვეტოხას გერმანელი შეფი ავად გამხდარიყო. მათ ნაწილს სამედიცინო მომსახურე პერსონალი არ ჰყავდა, დრო ვიხელთე და გამოუძახებლად მივედი სანახავად. შეფმა ყურადღებისათვის მადლობა გადამიხადა. გავსინჯე, ორმხრივი ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. საჭირო წამლები დავუნიშნე. ჩემი მკურნალობით შეფი მალე გამოკეთდა, მე კი მცოდნე ექიმის სახელი გამივარდა და, რაც მთავარია, გერმანელთა ნდობა დავიმსახურე.

გუგული მანტკავა პარტიზანულ რაზმებს სხვადასხვა ხასიათის ცნობებს აწვდიდა და ხელს უწყობდა მთელი რიგი ოპერაციების ჩატარებაში. პარტიზანები დიდ ზიანს აყენებდნენ გერმანელებს: აფეთქებდნენ ხიდებს, ნაღმავდნენ რკინიგზებს, სპობდნენ სატელეფონო ხაზებს, ცეცხლს უკიდებდნენ იარაღის საწყობებს.

პარტიზანთა მეკავშირეები გერმანელებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. 1944 წლის დეკემბერში ფაშისტებმა სოფელ სლაუტაში დაიჭირეს ექიმი კაზეიჩუკი. შემდეგ მისი გვამი სახრჩობელაზე ათი დღე-ღამე ეკიდა. სოფელ ტაშკაში გადასწვეს რამდენიმე ოჯახი

გუგული მანტკავა ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა. იგი იძულებული გახდა კავშირი გაეწყვიტა იმ რაიონის პარტიზანებთან და სხვაგან გადასულიყო. მალე ჩვენმა ძლევამოსილმა არმიამ ბოლო მოუღო უკრაინაში ფაშისტების თარეშს. ფრონტის ხაზი დასავლეთისაკენ მიიწევდა. მას გუგული მანტკავაც მიჰყვებოდა. გუგულიმ ომის დამთავრება ბერლინში იზეიმა და საბრძოლო ორდენებითა და მედლებით დაბრუნდა სამშობლოში.

ახლა ომგადახდილი ქალი, კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკია, დღესაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საგუშაგოზე დგას და ადამიანის დღეგრძელობისათვის იღწვის.

შალვა კოზიაშვილი,

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გრიგორი სკოვოროდა



ამ სახელს კრძალვით იხსენებს უკრაინელი.

მუსიკოსი, პოეტი, პროზაიკოსი, პედაგოგი-ნოვატორი, ფილოსოფოსი. სახალხო განმანათლებელი...

ყველგან თავისი სიტყვა თქვა, სხვათაგან გამორჩეული, მხოლოდ მისეული. ხიდი გასდო ძველსა და ახალ უკრაინულ კულტურას შორის. შთამომავლობას ანდერძად დაუტოვა სიტყვისა და საქმის, ცოდნისა და ცხოვრების ჰარმონიულობის იშვიათი მაგალითი.

საყვარელ სამშობლოზე, მშობელ ერზე ფიქრსა და წუხილში დაუღამდა წუთისოფელი. არც არაფერი სდომებია სხვა. სოფელ-სოფელ დადიოდა და არაფერს იშურებდა ხალხის გასანათლებლად. ყველგან, სადაც არ უნდა მისულიყო, ბედნიერება და სინათლე მიჰქონდა სასურველ სტუმარს.

ამბობენ, სიკვდილის მოახლოება რომ უგრძვნია, ბაღში ჩასულა და სამარე გაუთხრია. მერე პერანგი გამოუცვლია, გულდაგულ მოუგროვებია წიგნები, ხელნაწერები, თავქვეშ ამოუწყვია, მოსასხამი გადაუფარებია და სამუდამოდ მისძინებია 1794 წლის ნოემბრის ერთ დილას.

უკრაინელმა ხალხმა მრავალი ლეგენდითა და სიმღერით უკვდავყო მისი სახელი.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებს ვთავაზობთ გრიგორი სკოვოროდას სამი იგავის ქართულ თარგმანს „ხარკოვული იგავების" ციკლიდან.

მთარგმნელი

## გუგული და შაშვი

გუგული შაშვს ესტუმრა.

— არ მოგწყინდა? — ჰკითხა მასპინძელს. — რას აკეთებ?

— ვგალობ, — უპასუხა შაშვმა. — არ გესმის განა?..

— მე თვითონაც შენზე უმეტესს ვგალობ, მაგრამ მაინც მოწყენილი ვარ...

— ნეტავი რა გაწუხებს, სხვათა ბუდეებში ჩუმად შენა სდებ კვერცხებს. საცა ერდო მაღალია, შენც იმისი მაყარი ხარ, მღერი, სვამ და ჭამ. მე კი შვილებისთვის საკვებს ვშოულობ, ვზრდი პატარებს და ვწვრთნი. სიმღერა კი შრომას მიმსუბუქებს.

იგავი გვეუბნება: მრავალნი მიაგდებენ ღვთით დაწესებულ მოვალეობას, მარტოდენ მღერიან, სვამენ და ჭამენ. ამ მხიარულებაში აუტანელ და დიდ მოწყენილობას განიცდიან, ვიდრე ისინი, მუხლჩაუხრელად რომ შრომობენ. სიმღერა, სმა, ჭამა — საქმე როდია, მხოლოდ ციცქნა კუდია იმ მთავარი საქმისა, ჩვენთვის რომ დაუკისრებია გამჩენს. მაგრამ იმას, ვინაც იმად ჭამს, სვამს და მღერის, დასვენების შემდეგ მეტის ხალისით მოეკიდოს საქმეს, მოსაწყენად დრო აღარ დარჩება: დღენიადაგ შრომობს და ისვენებს იგი. ამისთანა ადამიანზეა თქმული: გამრჯე კაცისთვის ყოველცისმარ ზეიმიაო. ჩვენი საქმე ჩვენივ სიხარულის წყაროა. თუ ვინმეს თავისი საქმე არ ახალისებს, რაღა თქმა უნდა, ის არც საქმის სახლიკაცია და არც იმისი ერთგული. საქმეს შორიახლოს უტრიალებს და ვერ ჰპოვებს ვერცა სიმშვიდეს, ვერცა ბედნიერებას. იმაზე ტკბილი არაფერია, ვიდრე საერთო საქმე. იგი თავი და თავია, სინათლე და მარილია ყოველი პატიოსანი შრომისა... ბედნიერია, ვინაც თავისი საყვარელი საქმე საერთოს დაუკავშირა. ეს არის ჭეშმარიტი ცხოვრება. ახლა ცხადია სოკრატეს ნათქვამი: „ზოგიერთები იმისთვის ცხოვრობენ, რომ ჭამონ და სვან. მე კი იმისთვის ვსვამ და ვჭამ, რომ ვიცხოვრო".

## გველი და გომბეშო

გაზაფხულზე გველმა პერანგი დააგდო, გომბეშომ თვალი მოჰკრა და გაკვირვებულმა შესძახა:

— ქალბატონო, როგორ გაახალგაზრდავებულხართ! რანაირად მოახერხეთ მითხარით გეთაყვა...

— სიამოვნებით, — მიუგო გველმა. — წამომყევით!

წინ გაუძღვა და გომბეშო იმ ხვრელთან მიიყვანა, საიდანაც თვითონ. რის ვაი-ვაგლახით გამოძვრა და ძველი სამოსიც მაშინ გასძვრა.

— ბატონო გომბეშო, აგერ, ამ ხვრელში გაძვერით. როგორც კი გაძვრებით, მაშინვე გამოიცვლებით. აქეთა მხარეს დასტოვებთ ყოველივე უვარგისს.

— შენ რა, ჩემი გასრესა გინდა? — შეჰყვირა შემკრთალმა გომბეშომ. — თუ გამიმართლა და გავძვერი, მთლიანად გავიყვლიფები.

— ნუ განმირისხდებით, — უპასუხა გველმა. — ეს ერთადერთი გზაა იმის მისაღწევად, რაც მე შევიძელი.

იგავი გვეუბნება: რაც უფრო მეტია სიკეთე, მით უფრო მეტი შრომით მიიღწევა. ვინც არ გაირჯება, ის ვერც სიკეთეს ეზიარებაო.

## ყორანი და ჭივჭავი

იმ ტბასთან, გომბეშოები რომ ბინადრობდნენ, ხის ტოტზე ჭივჭავი იჯდა და გალობდა. იქვე ყორანი ჩხაოდა, რა ნახა, ჭივჭავი გალობას აღარათავებდა, დაუძახა:

— შენ რაღა მოგარბენინებდა აქეთ, შე გომბეშოვ, შენა...

— გომბეშოს რად მეძახი? — იწყინა ჭივჭავმა.

— სწორედ რომ გომბეშოსავით მწვანე ხარ და იმად.

— მე თუ გომბეშო ვარ, — მიუგო ჭივჭავმა. — მაშინ შენ ზედგამოჭრილი ბაყაყი ყოფილხარ, რადგან იმათებურად მღერი.

იგავი გვეუბნება: ადამიანის გული და ზნე, და არა სხვა რამ გარეგანი თვისებები, უნდა მოწმობდნენ მის რაობას. ხე ნაყოფით შეიცნობაო.

უკრაინულიდან თარგმნა ჯაბა ასათიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სტუმრები



## ახდენილი ოცნების ქვეყანა

— მე, პირველად არ ვარ საქართველოში, — თქვა ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, მისი ორგანოს — ყოველკვირეული გაზეთის „დრაპო რუჟის“ („წითელი დროშა“) მთავარმა რედაქტორმა როზინა ლევინმა. — აქ ტურისტად ვიყავი შვიდი წლის წინათ, მაგრამ სიხარულს მგვრის არამარტო ნაცნობი ადგილების ნახვა, არამედ სიახლის მუდმივი გრძნობაც, და იმიტომ კი არა, თითქოს თავის დროზე ვერ მომესწროს ყველაფრის ნახვა, — შესამჩნევად შეიცვალა ყველაფერი. ეს, როგორც ჩანს, ახასიათებს თქვენს ქვეყანას, მის სოციალურ წყობილებას.

სასიამოვნო ცვლილებანი მოხდა ამ შვიდი წლის მანძილზე ყველაფერში. უწინარეს ყოვლისა, მეტი პროგრესი დავინახე სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგში: კიდევ უფრო განვითარდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, მაღაზიებში უფრო მეტი საქონელია, გაიზარდა ახალმშენებლობათა რაიონები. თუმცა კი მეუბნებოდნენ, საბინაო პრობლემა ჩვენში ჯერ კიდევ გადაჭრილი არ არისო, მაგრამ ყველა დაინახავს, რა ბევრი რამ კეთდება ამ მიმართებითაც, და არა მარტო რესპუბლიკის დედაქალაქში, არამედ რუსთავშიც, სოხუმშიც, ყველგან, სადაც კი ვიყავი. ყოველ შტრიხში ჩანს, რა შესამჩნევად ამაღლდა მოსახლეობის ცხოვრების დონე.

თანაც, რა კარგად, ჩემი აზრით, საუკეთესოდ წყდება თქვენთან მეორე პრობლემა — თავისუფალი დროის, კულტურული დასვენების პრობლემა!

თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ უცვლელი დარჩა, წინანდებურად, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებს თვალსაჩინო ადგილი უკავია რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წილად მხვდა ბედნიერება, გავცნობოდი ზოგიერთ მათგანს, მე ვესაუბრე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზინაიდა კვაჭაძეს, შესანიშნავ მხატვარს ელენე ახვლედიანს, პროფესორ თინათინ მრევლიშვილს, რესპუბლიკის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს, პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს ნათელა ვასაძეს, საქართველოს სხვა შესანიშნავ წარმომადგენლებს. მათ ბევრი საინტერესო რამ მიამბეს, ყველა კითხვაზე მიპასუხეს. თითოეული მათგანი ხალისით მიხსნიდა და მიჩვენებდა, როგორ წყდება თქვენში საკითხები, რომლებიც დგას ქალთა წინაშე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, სამუშაოზე და ყოფა-ცხოვრებაში. ეს არა მარტო საინტერესოა, არამედ გულწრფელ აღტაცებას იწვევს. ჩვენთან, ბელგიაში ხომ სრულიადაც არ არის ასე...

ალბათ, პირველი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ უდიდესი სიამოვნება მომგვარა თქვენი ძველი ცივილიზაციის მშვენიერი მხარის მომხიბლავმა ბუნებამ, მისმა თავისებურებამ, რომ ნამდვილად მომაჯადოებელია ქართველთა გულწრფელი სტუმართმოყვარეობა, გულთბილი, ადამიანური დამოკიდებულება, უბრალო და სწრაფი დაახლოება. რა თქმა უნდა, ორიგინალურს ვერაფერს ვამბობ, მაგრამ მაინც მინდა ხაზი გავუსვა ამას.

დაბოლოს, როცა, მაგალითად, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში მუშა ქალებს ვკითხე, როგორ წყდება-მეთქი თქვენთან ეროვნული საკითხი, პასუხად მხოლოდ გამიღიმეს. მე მივხვდი: ამ მხრივაც მტკიცედ შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით განხორციელდა ლენინის დიადი იდეები.

ვ. კიურკჩიანი



## არასოდეს დამავიწყდება!

საქართველოს მიწაზე პირველად დავდგი ფეხი და ჩემს თვალწინ ზღაპრული ქვეყანა გადაიშალა. გავყურებ ამ გოლიათ მთებს, მთიდან მოხეთქილ, მოჩუხჩუხე წყაროებს, ბობოქარ ზღვას და ვფიქრობ, ამ მადლიან მიწაზე გაზრდილი ყველა ქართველი პოეტი უნდა იყოს. ახლა მივხვდი, რატომ უმღეროდნენ საქართველოს დიდი ტიტანები: პუშკინი, ლერმონტოვი მაიაკოვსკი...

ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა სიახლის ძიება, პროგრესი, ამაღლებული გემოვნება, და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, არსად არ არის შემონახული და შერწყმული ახალთან ძველი ტრადიციები და კულტურა ისე, როგორც საქართველოში.

განცვიფრებაში მომიყვანა იმ ამბავმა, რომ ქართველებში ოდითგან დამკვიდრებული ქალის კულტი, დღესაც ურყევ ძალაშია. იქნებ ამიტომაცაა, რომ უამრავ ქალს თვალსაჩინო ადგილი უკავია რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

მე შევხვდი და გავეცანი აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ნინო ხახუტაიშვილს, კულტურის მინისტრს ლამარა ბოლქვაძეს, განათლების მინისტრის მოადგილეს ეთერ ცივაძეს და სხვებს... ამ შესანიშნავმა ქალებმა, ბევრი რამ მიამბეს საქართველოს წარსულზე და აწმყოზე...

გულწრფელად უნდა ვაღიარო: მოხიბლული ვარ ქართველების გულღია, ხელგაშლილი სტუმართმოყვარეობით. არასოდეს, არასოდეს დამავიწყდება საქართველოში გატარებული დღეები.

ბარბარა სიდორჩუკი,

პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ქალთა ჟურნალების „ქალი და ცხოვრება“ და „ფილიპინკას“ რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





3. ტრიკოტაჟის გრძელი, წელში გამოყვანილი სარაფანი გამოირჩევა ნახატის სიახლითა და დეკორატიულობით. სარაფნის ქვეშ ჩაიცმევა წითელი თხელი სვიტრი.

ავტორი ო. სააკაშვილი

6-7. ახალგაზრდული ანსამბლი: კაპიშონიანი გრძელი მოსასხამი და ქვედაკაბა შეკერილია ბუკლეს ქსოვილისაგან, ხოლო წელში გამოყვანილი ერთბორტიანი მოკლე ჟაკეტი და ქვედაკაბაზე დაკერებული მოდური ჯიბეები ხელოვნური ტყავისაგან.

ავტორი ი. ნაცვლიშვილი

1-2. მოხერხებული და პრაქტიკული კომპლექტები ახალგაზრდა ქალებისთვის. ბოლოში ოდნავ გაგანიერებული ქვედაკაბები და მოდური მოკლე ჟილეტები შეკერილია კუბოკრული შალის ქსოვილისგან. ბეიკა და ჯიბის სარქველები ირიბადაა აჭრილი, ღილები ლითონისაა. კომპლექტებს დასრულებულ სახეს აძლევს თხელი სვიტრები.

ავტორი ი. კიკნაძე





4. წელში გამოყვანილი ტრიკოტაჟის კაბა გაწყობილია კონტრასტული ფერის ბეიკითა და ქამრით. სახელოები — მოკლე, გულისპირის ამონაჭერი — V-ს ფორმის.

ავტორი ო. სააკაშვილი



5. ლურჯი შალის წელში გადაუჭრელი კაბა. განიერი ქამარი კაბისავე. ქსოვილისაა. საყელო, ბორტები და ზემოდანდაკერებული ფურცლაკები გაწყობილია თეთრი შალის ბეიკით.

ავტორი ს. ჭალანდაძე

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვი და ალკოჰოლი

სანამ რამეს ვიტყოდეთ ალკოჰოლის მავნე გავლენის შესახებ ბავშვის ორგანიზმსა და, კერძოდ, ბავშვის ფსიქიკის განვითარებაზე, უნდა აღვნიშნოთ: ვინაიდან ბავშვის ცხოვრება მის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე იწყება, ზოგ შემთხვევაში, ბავშვმა შეიძლება არ მიიღოს არც ერთი გრამი ალკოჰოლური სასმელისა, მაგრამ მისი ტვინი და ნერვული სისტემა უკვე მოწამლული იყოს ალკოჰოლით. ასეთი ბავშვები იბადებიან ლოთი მშობლებისაგან და იზრდებიან ლოთობის გარემოში. მშობლების ალკოჰოლიზმის საფასურს, სამწუხაროდ, მძიმედ იხდიან მათი ბავშვები.

მრავალრიცხოვანი დაკვირვებებით დადგენილია, რომ ალკოჰოლის მავნე ზემოქმედება ბავშვის ორგანიზმზე ძირითადად ხორციელდება სამი მექანიზმით.

პირველი მექანიზმი: ერთ-ერთი ან ორივე მშობლის ალკოჰოლიზმის (და ასევე ალკოჰოლური სასმელების გადაჭარბებული მიღების) შედეგად ნაყოფის ნერვული სისტემისა და ორგანიზმის სხვა სისტემების დაზიანება ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში. ადამიანის განვითარებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ნაყოფის ზრდის მუცლადყოფნის პერიოდს. სწორედ მაშინ წარმოიქმნება ელემენტები ყველა ქსოვილისა და ორგანოებისა, საფუძველი ეყრება ნერვული სისტემის განვითარებას. ამ პერიოდში მოქმედი ალკოჰოლური შხამი არა თუ აგვიანებს ორგანოების ჩამოყალიბებას, არამედ ხშირად არღვევს და მანკიერს ხდის კიდეც მის განვითარებას. ასე იბადებიან ბავშვები თანდაყოლილი სიმახინჯეებით, მაგალითად, ხელების ან ფეხების განუვითარებლობით, ერთი ან რამდენიმე თითის უქონლობით, მძიმე სიელმით, სიბრმავით, თავის ან ზურგის ტვინის წყალმანკით, მიკროცეფალიით და სხვა უფრო მძიმე დეფექტებით. უფრო მეტიც, ბულგარელი მეცნიერის — გ. ეფრემოვის დაკვირვებით, ადამიანის ნაყოფისათვის ალკოჰოლური შხამი დღემდე ცნობილ საწამლავებიდან ყველაზე მძიმე მომშხამავი ნივთიერებაა. გარკვეული კონცენტრაციის ალკოჰოლს შეუძლია მოჰკლას ადამიანის ჩანასახი. აქედან გასაგები ხდება მკვდარი ბავშვის დაბადების ხშირი შემთხვევები ქრონიკული ლოთების ოჯახებში.

მეორე მექანიზმი: ბავშვის ცხოვრება ალკოჰოლიზმის გარემოში და, ამისგან გაპირობებულ დეზორგანიზებულ ოჯახში, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის განვითარებასა და პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

მესამე მექანიზმი: როცა ბავშვი ან მოზარდი ადრე ეჩვევა ალკოჰოლურ სასმელებს და როცა ალკოჰოლი უკვე უშუალოდ მოქმედებს, არღვევს ბავშვის ტვინსა და ფსიქიკას.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, შემთხვევათა უმრავლესობაში (პირველი და მეორე მექანიზმი) ბავშვები ალკოჰოლის მსხვერპლნი ისე ხდებიან, რომ თვით მათ ალკოჰოლი სრულიად არ მიუღიათ.

ისმება კითხვა, ნაყოფის განვითარებაზე მხოლოდ მშობლების დღენიადაგი ლოთობა მოქმედებს თუ ზომიერი სმა, ხშირი ქეიფი და. საერთოდ, ალკოჰოლის გადაჭარბებული მიღება? მშობლების ალკოჰოლიზმის მავნე გავლენა ნაყოფისა და ბავშვის განვითარებაზე როგორც ბიოლოგიურად, ისე სოციალურად. მტკიცებას არ მოითხოვს. ჯერ კიდევ 100 წლის წინ, ცნობილმა მეცნიერმა ი. მერჟეევსკიმ დაადგინა, რომ მშობლების ალკოჰოლიზმი წარმოადგენს ბავშვთა ჭკუასუსტობის ძირითად მიზეზს. საბჭოთა გამოჩენილი ფსიქონევროლოგის ტ. სიმსონის გამოკვლევების თანახმად, ყოველი ასი ჭკუასუსტი ბავშვის მშობლებიდან 40 ალკოჰოლიზმით არის დაავადებული. მეტად საინტერესოა ფრანგი ექიმის დემეს მონაცემები. მან შეისწავლა ქრონიკული ლოთების 10 ოჯახის შთამომავლობა და გამოირკვა, რომ ამ ოჯახებში 28 წლის განმავლობაში დაიბადა 57 ბავშვი, რომელთაგანაც 25 ბავშვი გარდაიცვალა 1-წლამდე ასაკში, ხოლო ცოცხლად დარჩენილ 32 ბავშვიდან 5 დაავადებული იყო ეპილეფსიით, 4 — თავის ტვინის წყალმანკით, 12 — გონებრივი ჩამორჩენილობით (ოლიგოფრენიით), ჯანმრთელი იყო მხოლოდ 11 ბავშვი. ცნობილია, რომ საფრანგეთში, სადაც ყველაზე მეტია ღვინის ხმარება, ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვანი რაოდენობა ჭკუასუსტობით და ეპილეფსიით დაავადებული ბავშვებისა აღრიცხულია სწორედ მევენახეობა-მეღვინეობის რაიონებში.

ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულთა ბავშვები არა მარტო იბადებიან ბიოლოგიურად უკვე გარკვეული დეფექტით, არამედ ლოთობის გარემოში იზრდებიან და მოკლებული არიან სწორ აღზრდას, საჭირო ზრუნვას, ყურადღებას, წესიერ მაგალითს, მოწმენი არიან ხშირი კონფლიქტების, დებოშისა, ჩხუბისა, ხშირად ღებულობენ გახანგრძლივებულ ფსიქიკურ ტრავმას, რაც უკვალოდ არ ტოვებს ბავშვის მოუმწიფებელ და მყიფე ნერვიულ სისტემას. აღნიშნული პირობების გამო, ხშირად ასეთი ბავშვები გამოირჩევიან ქცევის პათოლოგიით, ფსიქოპათიური გამოვლენებით, გარემოს მიმართ შემგუებლობის გაძნელებით. ერთი გამოჩენილი მეცნიერი აღნიშნავს, რომ „ლოთის ოჯახში დაბადებული ბავშვი იმით კი არ არის საბრალო, რომ ლოთი მშობლებისაგან დაიბადა, არამედ იმით, რომ ის იზრდება ლოთობის გარემოში, რომ ბავშვს აქვს მუდმივი კავშირი ლოთ მშობლებთან და მის წრესთან".

რაც შეეხება იმ მშობლებს, რომლებიც ზომიერად, მაგრამ ხშირად ღებულობენ ალკოჰოლურ სასმელებს, არაიშვიათად მათი ბავშვებიც გამოირჩევიან მთელი რიგი ავადმყოფური მოვლენებით. მათი შვილები ზოგჯერ დაბადებიდანვე იპყრობენ ყურადღებას სისუსტით, მადის დაქვეითებით, მომეტებული ნერვული აღგზნებადობით, არაჯანსაღი ძილით. უფრო მოგვიანებით — სასკოლო ასაკში — მათ ახასიათებთ ემოციური ფეთქადობა, კონფლიქტები გარშემომყოფებთან, თავისებური ჭირვეულობა, ხშირად გულცივობა და სიმკაცრე. გარდა ამისა მათ გარკვეულად უჭირთ სასწავლო პროგრამის ათვისება (სხვადასხვა ხარისხით), არიან ზედმეტად მოძრავნი — გაფანტული ყურადღებით. სწორედ შეუნიშნავს მე-19 საუკუნის ცნობილ ექიმს — სმიტს, რომ ზომაზე მეტად მსმელი ჰბადებს ფსიქოპათებს, ხოლო ზომიერად მსმელი კი თაობას აწვდის ნევროპათიულ პიროვნებებს.

საინტერესო დაკვირვებანი ჩაატარეს ერთ-ერთი სკოლის პედაგოგებმა. მათ შეისწავლეს, თუ როგორ მოქმედებს მშობელთა ლოთობა მოსწავლეების აკადემიურ წარმატებაზე. გამოირკვა, რომ აკადემიური ჩამორჩენილობის 36 პროცენტი გამოწვეულია ოჯახში გაუთავებელი სტუმრიანობით, ქეიფითა და მშობლების გადაჭარბებული ღვინის სმით.

ზოგიერთ ქვეყანაში კანონი სჯის იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეებს, რომლებიც სიმთვრალისას არასაკადრისად იქცევიან. ასე, მაგალითად: კანადაში ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ესჯება იმ პირს, ვინც სისტემატურად ლოთობს ოჯახში, ბავშვის თანდასწრებით. პოლონეთში მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვით ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა ესჯება მოქალაქეს ოჯახის წევრების მიმართ სიმთვრალეში ჩადენილი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქორწილის დღეებში ნეფე-დედოფლის აუცილებელ თავშეკავებას ალკოჰოლური სასმელების მიმართ, რადგან, ცნობილია, რომ ქორწინების დღეების ნერვიული და ფიზიკური გადაღლა, ძლიერი ფსიქიკური დაძაბულობა თავისთავად ჰფიტავს ახლადშეუღლებულთა ნერვულ სისტემას, ხოლო ამ ფონზე მცირე რაოდენობით მიღებული ალკოჰოლიც კი ხშირად მძლავრად მოქმედებს. ძველ საბერძნეთში, სპარტაში, კანონით იკრძალებოდა ღვინის სმა ქორწილის დროს. კართაგენში ახლადდაქორწინებულთ მხოლოდ წყალი ეძლეოდათ.

რამდენიმე სიტყვა ფეხმძიმე ქალისთვის ალკოჰოლური სასმელების მავნეობაზე: ჩვენში ალკოჰოლისტი ქალები ძალიან იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენენ. მაგრამ ცრუ-რწმენა სპირტიან სასმელების ვითომდა სასარგებლო თვისებების შესახებ, სამწუხაროდ, დღესაც არის გავრცელებული. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ამტკიცებს, ალკოჰოლური სასმელი ხელს უწყობს ნაყოფის ოპტიმალურ განვითარებას, ხოლო მშობიარობის შემდეგ ადიდებს ლაქტაციას — რძის გამოყოფას.

ცხოვრებისეული ფაქტები აშკარად გვიჩვენებენ ამ მცდარი შეხედულების მეტად ცუდ და, არაიშვიათად, საბედისწერო შედეგებს. იგივე მტკიცდება მეცნიერულადაც. ქიმიკოსების მონაცემების თანახმად, რძე ალკოჰოლის გავლენით უფრო თხელდება. მასში შესამჩნევად მცირდება ცილის რაოდენობა, რაც ასე მნიშვნელოვანია ბავშვის კვებისათვის. ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელიც დედის რძესთან ერთად ალკოჰოლის გარკვეულ დოზას ღებულობს, მოუსვენარი ხდება, ხშირად ეშლება კუჭი, მკვეთრად იკლებს წონაში, კანზე ჭინჭრის ციების მსგავსი გამონაყარი აქვს და სხვა.

ისმება კითხვა: მემკვიდრეობით გადაეცემა თუ არა ალკოჰოლურ სასმელებისადმი ლტოლვა ან საერთოდ, ალკოჰოლიზმი? საბჭოთა მეცნიერებისა და საზღვარგარეთის მრავალი მკვლევარის მტკიცებით, ალკოჰოლიზმი არ გადაეცემა მემკვიდრეობით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ალკოჰოლიზმით დაავადებული მშობლები თავიანთ ბავშვებს გადასცემენ გარკვეულ ბიოლოგიურ უკმარისობას. ასეთი ბავშვების ნერვული სისტემა დაბადებისთანავე სუსტია, მათ დაქვეითებული აქვთ წინააღმდეგობის გაწევის უნარი ყოველგვარი მავნე გავლენისა და მათ შორის, ალკოჰოლის გავლენის მიმართ (განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვი არაკეთილსასურველ გარემოში იზრდება). და მართლაც, იმ ოჯახებში, სადაც უფროსები არ სვამენ, ბავშვი თითქმის ყოველთვის ჰბაძავს მათ მაგალითს.

(გაგრძელება იქნება)

**მირიან მესტიაშვილი,**

**მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი, თბილისის მთავარი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

# ორიოდე სიტყვით

თუ ფრჩხილები ადვილად გემტვრევათ, ასე მოიქეცით: ორ სუფრის კოვზ ზეითუნის ზეთს დაუმატეთ ხუთი წვეთი ლიმონის წვენი, აურიეთ და შეათბეთ. ამ სითხეში ჩაჰყავით თითები და თხუთმეტ წუთს გააჩერეთ. ეს პროცედურა ყოველდღიურად გაიმეორეთ ძილის წინ. სითხეს ნუ გამოცვლით, მხოლოდ შეათბეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ შეატყობთ, რომ ფრჩხილები გაგიმაგრდათ და ადვილად აღარ გემტვრევათ.

* * *

თევზეული, კარტოფილი, ხორცი ან ბოსტნეული კარგად რომ დაიბრაწოს, შეწვამდე ჩაის ტილოთი გაამშრალეთ.

* * *

გამხმარი ყველი ბრინზა — ისევე გემრიელი გახდება, თუ რამდენიმე ხანს მარილიან რძეში მოათავსებთ.

* * *

ყვავილოვანმა კომბოსტომ მოხარშვის შემდეგ სითეთრე რომ შეინარჩუნოს, ისე მოხარშეთ, რომ ყვავილოვანი მხარე დაბლა ჰქონდეს, წყალში კი ჩაუმატეთ 2-3 სუფრის კოვზი რძე.

* * *

პამიდორს კანი ადვილად გადასძვრება, თუ წინასწარ რამდენიმე წამით ჩავუშვებთ მდუღარეში.

* * *

ახალი თევზი ცივ ადგილას უნდა შეინახოთ. შემდეგ გაწმენდთ ფხებისგან, გამოწელავთ, გარეცხვა უნდა მხოლოდ შეწვის წინ.

# თავსაფრიანი ქალი

მარჯვენა ხელზე გადალეული ოქროს ბეჭედი, შავი თავსაფარი, შავი კაბა, დიდრონი, კეთილი თვალები, თბილი ღიმილი და ტკბილი ენა:

— მობრძანდით, გენაცვალე!

— მიირთვით, გენაცვალე!

— აგერ შეისვენეთ, გენაცვალე!

წითელი კუნწულებით მოჩითულა ბლები, ტაფობი კი — გვირილებით. წამოქოჩრილა სიმინდის ჯანები, მზის გულზე დაუფენიათ ფოთლები გოგრებს. გზა აღმა მიდის, სოფელ ზემო წევასკენ. დაბლა ძირულა რჩება. სერიდან როგორც კი გადმოიხედავ, მაშინვე გახსენდება: „მხარე აფერადებული, ვით ღარიბი დედაკაცის ჩამოთხოვილი ნაჭრებისაგან შეკერილი საბნის პირი...

გზადაგზა პაწაწკინტელა ბინულები. ხშირ-ხშირად უნდა შეისვენო, თორემ წყალი ჩაგიდგება მუხლებში.

ამ აღმართებზე უვლია ამ ქალს, ახლადამოწვერილი ხასხასა ბალახიც უნახავს და ფოთოლცვენაც.

ქმარი რომ ფრონტზე წავიდა, სამი პატარა ბიჭისა და ერთი გოგოს დედა იყო სონა გაჩეჩილაძე.

მუხლი არ ჩაუხრია,

შუბლი არ შეუკრავს.

მოყვარეს მიხედვა უნდოდა და მტერს დახვედრა, შეშის მჭრელიც თვითონ იყო და თონეში პურის ჩამკვრელიც. კოლმეურნეობაშიც შრომობდა და სახლის საქმესაც აკეთებდა. ასე გავიდა ხუთი წელი. ქმარმა ბერლინამდე იარა და 1945 წლის ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს სალ-სალამათმა შემოაბიჯა ეზოში. მეტისმეტი სიხარულისაგან ტიროდნენ ოჯახის თავკაცს დანატრებული დედა და შვილები.

კერიიდან ამოდიოდა კვამლი, ყიოდა მამალი, ყეფდა ძაღლი, ჭიშკართან წაბლა ზმუოდა.

ვაჟკაცობა გაეწია ქალს.

ვარლამის ხელი დაეტყო ოჯახს. გასწორდა წაფერდებული საბძელი. აკაციის სარები ჩამწკრივდა ეზოს გარშემო, დროზე გაიმარგლა და გაითოხნა სიმინდის ყანა, მალე მეხუთე — ნაბოლარა ბიჭის აკვანი დაირწა სახლში.

იმ დღეს ყველა დაღვრემილი იყო სოფელში. მეზობელს შემთხვევით გაუვარდა თოფი და ბრმა ტყვიამ დაჭრა ვარლამი — ომის ქარცეცხლიდან მშვიდობით შემობრუნებული კაცი. მაინც ღმერთს მადლობას სწირავდა სონა, ცოცხალი ხომ გადამირჩაო.

ათ წელს ლოგინად იყო ჩავარდნილი ვარლამ გაჩეჩილაძე, კვლავ სონა უწევდა მეზობელს მეზობლობას, სტუმარს ისტუმრებდა, მეუღლეს უვლიდა და ხუთ შვილს ზრდიდა.

ხუთი ინჟინერი გაიზარდა წევის ერთ პატარა ოჯახში, არც ერთის დარდი არ გაჰყოლია იმ ქვეყნად ვარლამს.

• • •

ჩემს უმამოდ გაზრდილ ამხანაგს დედა ასეთ წერილებს უგზავნიდა გურიის ერთი სოფლიდან: შვილო, ნენა! რაფერ ხარ? საჭმელი არ მეიკლო, თბილად ჩეიცვი, არ გაცივდე. ნამეტანი კი მენატრები, მარა შენს საქმეს ნუ მოცდები. პატარა ხანს კი გავძლებ შენს უნახავად.

იგი მარტოხელა ქალი იყო და მოუთმენლად ელოდა შვილის ჩამოსვლას.

მე არ მინახავს სონას წერილები, მაგრამ ამგვარ ბარათებს სწერს, ალბათ, იგი თავის დაფრთიანებულ შვილებს.

მაინც როგორ დაიტოტა გზები;

დავითი — რუსთავშია, მელედი — მოსკოვში, ლილი — თბილისში, ზაური და გიგლა — ტყიბულში.

ქალიშვილი გათხოვდა. ბიჭები დაცოლშვილდნენ უმცროსის გარდა. ახლა ზაფხულია და სავსეა სახლი.

ზამთრის მოსაწყენ დღეებში კი ზის ქალი ღუმელთან, ჩერიას ატრიალებს, ქსოვს. ხანდახან მეზობლისას გადავა, გზასაც გადახედავს, იქნებ, უმცროსი მაინც მოვიდესო.

გუგუნებს სახლში ღუმელი, ტკაცუნებს წაბლის შეშა და წერს თავსაფრიანი ქალი მოსკოვში, ტყიბულში, რუსთავსა და თბილისში გასაგზავნ წერილებს:

„რავა ხარ შვილო! თბილად ჩეიცვი, არ გაცივდე!“

თინა ჩხაიძე



# ჭრელ-ჭრელი

## ხელოვნური რძე

ინგლისის კომპანიის „პლანტმილკ ლიმიტედში“ შეიქმნა აპარატი, რომელიც მცენარეული საკვებიდან გვაძლევს ხელოვნურ რძეს. ამ აპარატის მოწყობილობა ჩამოგავს ძროხის მომნელებელ ორგანოებს. „მექანიკური ძროხა“ იკვებება კომბოსტოსა და მუხუდოს ფოთლებით და დღეში იძლევა 80 ლიტრამდე თეთრ სითხეს. სითხეს ნატურალური რძის გემო აქვს.

## ანტიალკოჰოლური ელექტრონის „ცხვირი“

იაპონიის ავტოსამშენებლო ფირმა „ხონდას“ მეცნიერმუშაკებმა გამოიგონეს ელექტრონული ხელსაწყო, რომელიც მთვრალ მძღოლს ძრავის ჩართვაში უშლის ხელს. ხელსაწყო იმდენად მგრძნობიარეა, რომ ხელად გამორთავს ძრავას, ვინმემ მანქანის გვერდითაც რომ გადაჰკრას ორიოდე ჭიქა ვისკი. მაგრამ, ასეთი გადამეტებული მგრძნობიარობა ხელსაწყოს ერთგვარი ნაკლიცაა: იგი რეაგირებას ახდენს სუნამოზეც. — სუნამო ხომ ცოტაოდენ სპირტსაც შეიცავს!

## ნუ მიმღერ, ლამაზო!

კაცობრიობა დიდი ხანია იცნობს სპილოებს, და თითქოს მათი ზნე-ჩვეულებაც კარგად იცის. ყოველ შემთხვევაში, სპილოს გონივრულობაზე ლაპარაკით დღეს უკვე ვეღარავის გააკვირვებთ. მაგრამ, სპილოსაც თუ ჰქონდა მუსიკალური გემოვნება, ეს აქამდე არ ვიცოდით.

პარიზის ცირკში მოეწყო გრანდიოზული კონცერტი, სადაც თავი მოიყარეს კინოს, თეატრისა და ტელეხედვის „ვარსკვლავებმა“. მათ გამოსვლას შიგადაშიგ საცირკო ნომრები ცვლიდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ვიდრე არენაზე არ გამოჩნდა ცნობილი მომღერალი მარია კალასი. მისმა სიმღერამ რატომღაც ერთი პატარა სპილო გააცოფა. სპილომ თავის გამოსვლას აღარ დაუცადა, აღშფოთებული გამოიჭრა და მომღერალ ქალს მივარდა. კაცმა არ იცის, ეს ამბავი როგორ დამთავრდებოდა, ცირკის გამოცდილი ორკესტრანტები რომ არ ჩარეულიყვნენ საქმეში. მათ მენდელსონის „საქორწინო მარში“ დაჰკრეს.

როგორც კი „საქორწინო მარშის“ ხმა გაიგონა, პატარა სპილო დამშვიდდა და კმაყოფილმა დატოვა ასპარეზი.

## ფრთხილად, ბალანგია!

ხელოვნებათმცოდნეები ყოველთვის აღტაცებაში მოჰყავდა უნაზესი რუხი ფერების ლივლივს იტალიელი მხატვრის — კარლო ალფიორის სურათებზე. პატივცემული ხელოვნებათმცოდნენი სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი ამ ნიჭიერი კოლორისტით. დასაბეჭდად უკვე მზად იყო პატარა მონოგრაფია „რუხი ფერები ალფიორთან“.. და, აი, სრულიად შემთხვევით, ფარდა აეხადა მხატვრის ტექნოლოგიის საიდუმლოას. გამოფენაზე ერთი ბეცი, პირში სიგარაგაჩრილი დამთვალიერებელი მეტისმეტად მიუახლოვდა შედევრს. სურათმა... იფეთქა. მეტი გზა არ ჰქონდა და მხატვარი გამოტყდა — საღებავში დენთს ვურევ ხოლმეო.

ასეთი ხმაურიანი წარმატების შემდეგ, გამოფენათა ორგანიზატორებმა, დაავალეს ალფიორის ყოველ სურათზე მიაკრას პატარა დაფა წარწერით: „ცეცხლთან თამაში სახიფათოა“!

## სტუმრებს თუ ელით...

დატენილი (ფარშირებული) აქლემი უბრალო და მადიანი კერძია. ამ კერძს არაბ ბედუინებს მიართმევენ ხოლმე საქორწინო სუფრაზე. სცადეთ და თქვენც მოამზადეთ. დარწმუნებული ვართ თქვენს სტუმრებსაც მოეწონებათ.

პირველად აიღეთ რამდენიმე თევზი და მოხარშული კვერცხებით დატენეთ, შემდეგ ამ თევზებით ამოავსეთ რამდენიმე მოხარშული ქათამი. შემდეგ ეს ქათმები შეაწყვეთ შემწვარი ბატკნის მუცელში. საბოლოოდ მოიტანეთ კარგად შებრაწული აქლემი და ჩაუდეთ შემწვარი ბატკანი. ახლა ისღა დაგრჩენიათ, რომ აქლემი საგანგებო ლანგარზე დასდოთ, შემოუწყოთ მწვანილეულობა და ისე მიართვით სტუმრებს.

---

გარეკანის პირველ გვერდზე — გმირი დედა, სოციალისტური შრომის გმირი მ ა რ გ ო ჩ ი ქ ვ ა ნ ა ი ა; მეოთხე გვერდზე — ილიასა და აკაკის ძეგლი რუსთაველის გამზირზე — მოქანდაკეები ვ. თოფურიძე და ზ. მიქატაძე ფერადი ფოტო თ. ფ უ რ ც ხ ვ ა ნ ი ძ ი ს ა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ი. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. განყოფილებების — 99-50-39. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 20/IX-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/X-1972 წ. ქაღალდის ზომა 60X90[1]/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 123 260. შეკვ. 3100 უე 13550 ფასი 30 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრონქულ ასთმაზე შეტევა გრძელდება

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ სიტყვა „ალერგია“ ბევრს არც გაეგონა. დღეისათვის კი ალერგიული დაავადებები ისე გახშირდა, რომ მისმა ერთერთმა სახემ — ბრონქულმა ასთმამ მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში უკან ჩამოიტოვა ტუბერკულოზი, დიაბეტი და, გავრცელების სიხშირის მიხედვით, მესამე ადგილზე გამოვიდა, გულსისხლძარღვთა სისტემისა და ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადების შემდეგ.

ამიტომ ბრონქული ასთმა მედიკოსთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და მთელ სიმწვავით წამოიჭრა მისი მკურნალობის საკითხი. ყოველწლიურად ამ დაავადების სამკურნალოდ ოცზე მეტი პრეპარატი გამოდის, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა იმედს არ ამართლებს.

ეს კი, ძირითადად, იმით არის გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი ბრონქული ასთმის წარმოშობის მიზეზები. დიდი ხანი არ არის, რაც დადგინდა, რომ ბრონქული ასთმა, ძირითადად, ალერგიული დაავადებაა და შესაძლებელი გახდა ამ დაავადების ფორმებისა და სტადიების კლასიფიკაცია. ცხადია, მომავალში, ეს დიდად შეუწყობს ხელს დაავადების მკურნალობის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას.

სწორედ ამ პრობლემას მიეძღვნა ამასწინათ ბათუმში ჩატარებული სიმპოზიუმი, ფაქტიურად პირველი სიმპოზიუმი, რომელზეც უნდა გამომუშავებულიყო ძირითადი პრინციპები ბრონქული ასთმის მკურნალობის მეთოდებისა და მათი რაციონალური გამოყენების დასადგენად.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობას მისაღებად ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის ორასზე მეტი თვალსაჩინო სპეციალისტი-ალერგოლოგები, თერაპევტები, ქირურგები, პედიატრები, იმუნოლოგები და სხვანი. აქ იყო საბჭოთა ალერგოლოგების მამამთავარი — საკავშირო ალერგოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი აკადემიკოსი ა. ადო, პროფესორები: ვ. პიცკი, ნ. კლემპარსკაია, ვ. ფრადკინი, ტ. სოკოლოვა (მოსკოვი) ბ. პადეგიმასი (კაუნასი), გ. ფედოსეევი და ა. კოკოსოვი (ლენინგრადი), ი. ლერნერი და ე. ბრუსილოვსკი (კიევი) და სხვანი.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა პლენარულ და სექციურ სხდომებზე მოისმინეს 85 მოხსენება. ამ მოხსენებებმა და მათ ირგვლივ გამართულმა დისკუსიებმა ნათელჰყო, თუ რა გაშლილი ფრონტით წარმოებს შეტევა ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სპეციალურ ალერგოლოგიურ დაწესებულებებში ბრონქულ ასთმაზე.

სიმპოზიუმზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ასთმის დროული დიაგნოსტიკის საკითხს. აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ე. წ. ასთმის წინა მდგომარეობის (ზემო სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსისა და სასუნთქი ორგანოების მწვავე და ქრონიკული ანთების) დროულ გამოვლენასა და მკურნალობას. მითუმეტეს, თუ ამ დაავადებებს ალერგიული მოვლენები ახლავს. ასთმის წინა დაავადების გამომწვევი ალერგენის დადგენა და სპეციფიური ჰიპოსენსიბილიზაცია ძალიან ხშირ შემთხვევაში საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ბრონქული ასთმა.

რას ნიშნავს ჰიპოსენსიბილიზაცია? ამის განსამარტავად ჯერ ჩვენს მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რა არის თვით ალერგია. როგორია მისი მექანიზმი:

„ალერგია“ თანამედროვე მედიცინამ უწოდა ორგანიზმის ამაღლებულ მგრძნობელობას, მის გადაჭარბებულ რეაქციას ანუ სენსიბილიზაციას ამა თუ იმ ნივთიერების, ანუ, როგორც ამ შემთხვევაში უწოდებენ — ალერგენის განმეორებითი ზემოქმედებისას. ცნობილია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ადამიანი ვერ იტანს ამა თუ იმ საკვებს, წამალს და მათი მიღების შემდეგ ავადმყოფური მოვლენები უვითარდება. ზოგს გაზაფხულზე, მცენარეების ყვავილობისას, გაუთავებელი, ტანჯვისმომგვრელი სურდო ემართება, ზოგსაც ასეთი მოვლენები უვითარდება კვებითი, საყოფაცხოვრებო, ცხოველური, მიკრობული, სოკოვანი ალერგენების მიმართ.

ალერგიული დაავადებები ადრეც იყო გავრცელებული, მაგრამ ჩვენს ეპოქაში განსაკუთრებით გახშირდა და გაავთვისებიანდა, ესე იგი, უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობს.

ალერგიული დაავადების გამომწვევ ფაქტორებს შორის მედიკოსები ადამიანების მიერ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებათა (უფრო ხშირად — ანტიბიოტიკების) გადაჭარბებით მიღებას ასახელებენ.

ალერგიული დაავადების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მემკვიდრეობითი ფაქტორი. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ ალერგიული რეაქციებისადმი მიდრეკილება აღინიშნება შემთხვევათა 50 პროცენტში, თუ დედას აქვს ესა თუ ის ალერგიული დაავადება, 30 პროცენტში — თუ მამა არის დაავადებული, ხოლო 75 პროცენტში, როდესაც ორივე მშობელს აქვს ესა თუ ის ალერგოზი.

ცნობილია ასეთი ფაქტიც: ბრონქული ასთმით დაავადებულთა ნახევარს ბავშვობაში აღენიშნებოდა მიდრეკილება ალერგიული დაავადებისადმი (ერთერთი გავრცელებული დაავადება ჩვილ ბავშვთა ასაკში არის ექსუდაციური დიათეზი), ამიტომ ასეთი მიდრეკილების მქონე ბავშვებს მშობლებმა დროზე უნდა მიაქციონ ყურადღება და სათანადო მკურნალობა ჩაუტარონ.

ალერგიული დაავადების წარმატებითი მკურნალობის აუცილებელი პირობა კი დაავადების გამომწვევი ალერგენის დადგენა გახლავთ. როცა ალერგოლოგიურ დაწესებულებაში, სხვადასხვა სახის სინჯების ჩატარების შემდეგ, ალერგენს დაადგენენ, იწყებენ მკურნალობას ამ ალერგენის ორგანიზმში სისტემატურად, ხელოვნურად შეყვანით. იწყებენ უმნიშვნელო დოზიდან, შემდეგ კი მას თანდათან ადიდებენ. სწორედ ამას ეწოდება ჰიპოსენსიბილიზაცია.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს ამ მეთოდის ეფექტურობა, განსაკუთრებით, დაავადების დასაწყის სტადიაში. მომხსენებლებმაც და კამათში გამოსულებმაც ხაზგასმით აღნიშნეს საქართველოს ალერგოლოგიური ცენტრის დიდი წვლილი ამ მეთოდის შემუშავებაში.

სიმპოზიუმზე უარყვეს ბრონქული ასთმის მკურნალობის ის მეთოდები, რომლებმაც მეცნიერული დასაბუთება ვერ ჰპოვეს. განსაკუთრებით გულისწყრომა გამოსთქვა აკადემიკოსმა ა. ადომ იმის გამო, რომ „ასთმის მკურნალობას ახლა, ჩვენდა საუბედუროდ, ყველამ მოჰკიდა ხელი — ინჟინერმა, ფილოლოგმა, კოლმეურნემ, პენსიონერმა, ერთი სიტყვით ყველამ, ვისაც წარმოდგენა არა აქვს, საერთოდ, მედიცინაზე და, ბრონქული ასთმის ბუნებაზე. ამ ვაისპეციალისტებს მინდობილი ავადმყოფები კი ძვირფას დროს კარგავენ, და მხოლოდ მაშინღა მიმართავენ სამკურნალო დაწესებულებას, როცა შველა ძნელი ხდება“...

სიმპოზიუმი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მაღალ მეცნიერულ დონეზე. მასში ფართოდ მიიღეს მონაწილეობა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა: თბილისის ალერგოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, ამ სიმპოზიუმის მოწყობის ინიციატორმა, პროფესორმა გურამ გურგენიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტმა, პროფესორმა ირაკლი ფაღავამ, პროფესორებმა: ივსიხი ცინცაძემ, გაიოზ ვასაძემ, გიორგი უშვერიძემ, ნოდარ გოგებაშვილმა და სხვებმა.

სიმპოზიუმმა მუშაობა დაამთავრა. ბრონქულ ასთმაზე შეტევა გრძელდება.

ნ. ბარათაშვილი,

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76178